ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 10 — 27 ივლისი 1908 წ. — ფასი 10 კ.

შინაარსი: რა არის ჩვენ შორის სადავო? (ნაციონალურ პროგრამის შესახებ).—ღია წერილი „ჩვენი კვალი“-ს რედაქციას, **გრ. ურ.**—სხვა და სხვა ამბები ჩვენსა და რუსეთში.—ოსმალეთი. —სპარსეთი. —ცოტა რამ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე, **ლევ. მეტრეველის**.—მეგობრებს (ლექსი), **ცახელის**. —დედები (მოთხრობა) **ან. ერისთავ-ხოშტარიასი**.—სოფელში (ლექ.). **დარიასი**.—პროვინცია.—გურიის ამბები, **არნერის**.—მუშათა შორის.—ხალხისადმი გულშემატკივრობა თუ კუჭის საკითხი, **მ.**—განცხადება.

დოქტორი **ივ. გომართელი** ჩამოვიდა და შეუდგა ჩვეულებრივათ ავათმყოფების მიღებას.

რა არის ჩვენ შორის სადავო?

(ნაციონალურ პროგრამის შესახებ).

აქეე ვბეჭდავთ ამხ. გრ. ურ—ძის ღია წერილს, რომლითაც იგი ცდილობს ნათლათ განსაზღვროს ჩვენ შორის არსებული უთანხმოება ნაციონალურ საკითხში. საჭიროთ მიგვაჩნია ამხანაგის წერილს წინ წაუმძღვაროთ ეს მცირეოდენი განმარტება.

თქმა არ უნდა, რომ მთელი ჩვენი უთანხმოება ერთიანათ სძევს პრაქტიკულ სფერაში. თეორეტიულათ კი ჩვენ ყველანი ერთსა და იმავე ნიადაგზე ვდგევართ, ერთსა და იმავე მსოფლ-მხედველობას ვაღიარებთ. კერძოთ, რაც შეეხება ნაციის თეორიას, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თეორიას რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ნაციონალურ პროგრამისათვის, მაინც აშკარაა—ყოველი უთანხმოება თუ აზრთა სხვა-და-სხვაობა ამ თეორიის მხრივ უეჭველათ არა ნიშნავს აზრთა სხვა-და-სხვაობას ნაციონალურ პროგრამის მხრივ. ასე მაგ. კაუცკი არ ეთანხმება ოტო ბაუერისაგან წამოყენებულ თეორიას ნაციის შესახებ, მარა იგი სრულის თანაგრძნობით ეგებება მისგან (ოტო ბაუერისაგან) არჩეულ ნაციონალურ პროგრამას. იგივე კაუცკი, როგორც იცით, აღიარებს, რომ ნაციები ადრე თუ გვიან უნდა გაილესნენ ერთმანეთში და ბოლოს მთელმა კაცობრიობამ უნდა შეადგინოს ერთათ ერთი ნაციაო; მაგრამ კაუცკი იმავ ნაწარმოებში, სადაც იგი ამ შეხედულებას გამოსთქვამს, სხვათა შორის სწერს, რომ ყოველი პოლიტიკა, რომელსაც კი მიზნათ ექნებოდა ამა თუ იმ ნაციის სიცოცხლის მოსწრაფება, რომ „ყოველი პოლიტიკა ნაციის საწინააღმდეგო პროლეტარიატის მხრივ იქნებოდა თვით-მკვლელობა“-ო (Нац. наш. вр. გვ. 48). ნაციის ესა თუ ის მომავალი შედეგი უნდა იყოს ძალა დაუტანებელ, თავისუფალ განვითარებისა.

სოციალისტი არ შეიძლება არ იყოს მომხრე ნაციის დამოუკიდებლობის და თავისუფლებისა, რადგან სოციალიზმი აუცილებლათ იგულისხმებს ამ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. მაგრამ ერთია პრინციპების აღიარება და მეორეა ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება.

დღეს ყოველგვარი ეროვნული მჩაგვრელობა—ისე როგორც ადამიანისაგან ადამიანის მჩაგვრელობაც—აუცილებლათ შეკავშირებულია კაპიტალიზმის არსებობას-

თან. ეს უკანასკნელია პირველის წარმომშობი უტყუარი მიზეზი. ამიტომაც ვიდრე არსებობს კაპიტალიზმი, ჩვენ არ შეგვიძლიან დაარხეინებული და სრულიად უზრუნველყოფილი ვიყვეთ ნაციების დამოუკიდებლობისა და თავისუფალ განვითარების მხრივ. დიახ, ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ, „რომ ნაციონალური კითხვის საბოლოო გადაწყვეტა, მისი სრულიათ გაქრობა --დასამარება შეუძლია მხოლოთ სოციალიზმს“. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენ მთელი საკითხის გადაწყვეტას სოციალიზმის ეპოქას უტოვებდეთ. პირიქით, თვით სოციალიზმის განხორციელების ინტერესები გადაჭრით გვიკარნახებენ, რომ ნაციონალურ საკითხს განსაზღვრული გადაწყვეტა მივცეთ თვით კაპიტალისტურ პირობებშივე. ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ, რომ საჭიროა დღესვე მიღებულ იქმნას პრაქტიკული ზომები ერის თვით-არსებობის დასაცავათ, ერის თავისუფალ განვითარების სასარგებლოთ.

მაგრამ ერთია რომელიმე დებულების განცხადება და მეორე ამ დებულების ცხოვრებაში გატარება.

ამხ. გრ. ურ. აცხადებს, რომ იგინი, ე. ი. ყველა „ცენტრალისტი“ ამხანაგები პრინციპიალურათ მომხრე არიან ერების დამოუკიდებლობისა, მომხრე არიან ავტონომიისა, და იქვე დასძენს: „მაგრამ ეს ზოგადი საღი შეხედულება, ადგილის და დროის მიხედვით, ხშირათ შეუწყნარებული ხდება“. რადგან ამ „ზოგადი შეხედულების განხორციელება შეიძლება ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს ჭ ხელს უშლიდეს პროლეტარიატის სოლიდარობას, მის კლასობრივ თვით-შეგნება თვით-ცნობიერებასო“ ეს ვიცოდით, რომ აგრე იყო და ამიტომაც ვწერდით ე-ითხელ პრესის მიმოხილვაში: „ჩვენში მართლაც არიან ს.-დემოკრატები, რომლებიც ფიქრობენ, ვითომ რუსეთის „მთლიანობა“, ე. ი. განაპირა ქვეყნების ავტონომიის უარყოფა ხელს უწყობდეს მუშათა სოლიდარობას. მაგრამ არიან სხვები, რომლებიც ენერგიულათ უარყოფენ ასეთ შეხედულებას“.

„ეს „სხვები“, ცხადია თქვენა ხართო“,—გვეკითხება ამხ. გრ. ურ.—დიახ, ეს „სხვები“ ჩვენა ვართ, ხოლო „მთლიანობის“ დამცველნი თქვენა ხართ, „ცენტრალისტები“. და მერე—კითხულობს იგივე ამხანაგი—„განა ჩვენ წინააღმდეგი ვართ პოლშის, ფინლიანდიის ავტონომიის? “ რასაკვირველია, ჩვენ აზრათ არ მოგვსლია ასეთი ბრალი დაგვედვა თქვენთვის—მიუხედავათ იმისა, რომ არიან ზოგიერთი ნაკლებათ შეგნებული ს.-დემოკრატები, რომელნიც თვით ფინლიანდიისა და პოლონეთის ავტონომიას იღებენ, როგორც ერთგვარ „მწუხარე აუცილებლობას“. ამათი აზრით, რომ შესაძლებელი იქნებოდეს და მთელ იმპერიაში, ან მთელ ქვეყნიერობაზეც ამოვარდებოდეს ყოველივე პოლიტიკური მიჯნები (ასეთი მიჯნაა ავტონომიაც) ნაციათა შორის, ყველანი და ყველაფერი ერთნაირათ დაექვემდებარებოდეს ერთ ცენტრალურ პარლამენტს, აი სწორეთ მაშინ განმტკიცდებოდა უმაღლეს წერტილამდე ყველა ნაციების მუშათა კლასის სოლიდარობაო. ნამდვილათ კი—ვინ არ იცის, რომ აღნიშნულ ფანტასტიურ მდგომარეობის განხორციელება დამღუპველი იქნებოდა ყველა ნაციათა მუშა ხალხის საქმისა, რადგან დასახელებული ცენტრალიზაცია უარყოფაა იმ დემოკრატიზმისა, რომელიც მიუცილებელი გზა და ხიდია სოციალიზმისაკენ.

მაგრამ, ვიმეორებთ, ესეთი, მეტი რომ არა ვსთქვათ, უცნაური შეხედულება მხოლოთ ზოგიერთებს ეკუთვნის და ზოგიერთებისათვის კი მთელ პარტიას, ცხადია, ვერ გავხდით პასუხისმგებლათ. ამხანაგ „ცენტრალისტებს“ ჩვენ იმასაც კი არა ვდებთ ბრალათ, რომ ისინი ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგი არიან ავტონომიისა. ამიტომ ამხ. გრ. ურ. ამაოთ იმოწმებს მარქსსა და ენგელსს. აქვე შევნიშნოთ, რომ მარქსი „მუდამ“ კი არ იყო სლავიანთა მცირე ნაციების მისწრაფებათა წინააღმდეგი, არამედ მხოლოთ გასულ საუკუნის შუა ხანებში. ისიც, იგი უარყოფდა და აღშფოთებით იხსენიებდა ამ ნაციათა მხოლოთ **რეაქციონურ** მისწრაფებათ. მართალია მარქსი უნდობლათ ეყურებდა—და მას არც კი სწამდა თვით ამ ავსტრიელ სლავიანთა პატარა ერების ნაციონალურ არსებობის შესაძლებლობა; მარა მაშინ გარემოება იყო ისეთი, რომ თვით გენიოსი ადამიანი შეცდომაში უნდა ჩავარდნილიყო (ამბობენ მხოლოთ რომის პაპია შეუმცდარიო) და „ყველაფერი, რასაც იგი (მარქსი) ამაზე მაშინ (1848 და 1849 წ.წ.) სწერდა, ეხლა მოკლებულია საფუძველს და უკვე ჩაბარდა ისტორიას“ (კაუცკი). მაგრამ, ვიმეორებთ, მარქსის დამოწმება აქ ზედ-მეტია, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ჩვენ თვითონ ვიყვეთ ავტონომიის წინააღმდეგი. ავტონომია არ არის ეროვნულ საკითხის პანაცეა, ყოველგან და ყოველთვის უებარი მალამო. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება საუკეთესო იყოს სრული განცალკევება და სრულიათ დამოუკიდებელ ანუ ნეიტრალურ ნაციონალურ სახელმწიფოს შექმნა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია დროსა და ადგილის პირობებზე. ამხანაგ „ცენტრალისტებს“ ჩვენ სწორეთ იმას ვდებთ ბრალათ, რომ იგინი ავტონომიას უარჰყოფენ ძალიან კონკრეტიულ შემთხვევაში; იგინი **ღღეს, ჩვენი ქვეყნისთვის** უარჰყოფენ ავტონომიას და ამის ნაცვლათ აყენებენ „კავკასიის საოლქო თვითმართველობას“. აი აქ არის ჩვენი სადაო და საკამათო საგანი.

ის დადგენილება, რომელიც ამ „საოლქო თვითმართველობას“ შეიცავს, მთელ ნაციონალურ პროგრამას ახურდავებს ორიოდე ფრაზაზე, როგორიც არის ადგილობრივ ენების ხმარება ადგილობრივ დაწესებულებებში და უფლება სამშობლო ენაზე განათლების მიღებისა. ჩვენის ღრმა რწმენით „ამიერ კავკასიის საოლქო თვითმართველობა“ არავითარ ნაციონალურ საკითხის არავითარ გადაჭრას არ წარმოადგენს. პირ იქით, იგი საქმეს კიდევ უფრო ართულებს და აუარესებს. ეს დადგენილება ნაციონალურ საკითხის გადაფუჩეჩება და მხარის აქცევაა.

მარქსისტი უწინარეს ყოვლისა მოქმედების ადამიანია და არა პრინციპების კიდობანი. ვისაც უნდა ნაციონალურ საკითხში დაუახლოვდეს მარქსსა და დაშორდეს ოპორტიუნისტებს, „უგოდოვცებს“ და საერთოთ ბურჟუაზიის იდეოლოგებს, მან კარგათ უნდა შეიგნოს და გაითვალისწინოს საერთაშორისო პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესები, ამ ინტერესების თვალთა ხედვის წერტილიდან უნდა შეიმუშაოს სათანადო ნაციონალური პროგრამა და ამ პროგრამის თანახმათ იმოქმედოს.

ნაცვლათ „საოლქო თვითმართველობისა“, რომელიც იგულისხმებს მხოლოთ ფართე ადმინისტრატიულ თვითმართველობას, ჩვენ ვთხოულობთ ავტონომიას რომელიც იგულისხმებს განსაზღვრულ პოლიტიკურ თვითმართველობას. დიახ, ჩვენ ვაღიარებთ „კავკასიის ავტონომიის საჭიროებას“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა „კავკასია“ არ არის სისწორით განსაზღვრული ტერიტორიის მაჩვენებელი; ამასთანავე, დღეს-დღეობით, შეუძლებელია ითქვას, თუ კავკასიის ტერიტორიის რამოდენა ნაწილს შემოევლება ავტონომიური სარტყელი. ცხადია, რომ პირველ ხანებში ეს იქნება ამიერ-კავკასია. შესაძლებელია, რასაკვირველია, რომ შემდეგში ამ ავტონომიურ მმართველობაში შემოვიდენ სხვა ნაწილებიც, მაგ. დაღესტნის მეორე ნაწილი და თერგის ოლქი. ხოლო ავტონომიურ მოძრაობაში მესვეურის როლი კი, ცხადია, ნაკისრები ექნება საქართველოს.

საკითხი კავკასიისა თუ ამიერ-კავკასიის რუსეთის სახელმწიფოსთან დამოკიდებულების შესახებ არის მხოლოთ ერთი პუნქტი ჩვენ შორის არსებულ დავა-უთანხმოებისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პუნქტში ეხლა შედარებით მალე და ადვილათ შევთანხმდებით. ამის საბუთს, სხვათა შორის, გვაძლევს გაზ. „ცხოვრების სარკეში“ (№ 10) დაბეჭდილი მეთაური წერილი (ამ წლის 3 მაისის თარიღით). ამ წერილს ამბ. „ცენტრალისტები“-ს მხრიდან არავითარი პროტესტი, ან წინააღმდეგობა არ გამოუწვევია, და ეს მიუხედავათ იმისა, რომ ამ წერილში უკვე გადაჭრით გადალახულია ადმინისტრატიულ თვითმართველობის საზღვრები და თვალსაჩინო ნაბიჯია გადადგმული ავტონომიისაკენ; ამიერ-კავკასიის სეიმს მინიჭებული აქვს—მართალია, გაუბედავათ და მოკრძალებით, მარა მაინც მინიჭებული აქვს—საკანონმდებლო ფუნქციები, რითაც სეიმი ჰკარგავს მუნიციპალურ ხასიათს და ემსგავსება ადგილობრივ პარლამენტს. ასე რომ, მალე ჩვენ შორის საკამათო დარჩება მხოლოთღა ავტონომიის კომპეტენცია. აქაც რომ არ დაიგვიანებს შეთანხმება, ამას გვაფიქრებინებს იგივე წერილი, რომელიც ჩვენ ასეთ ავანსებს გვაძლევს: „შეიძლება ეს კომპეტენცია დროთა განმავლობაში გაფართოვდეს, ეს დამოკიდებული იქნება ამიერ-კავკასიის ჩამორჩენილ ერთა კულტურულათ ამაღლებაზე“...

მეორე მთავარი პუნქტი ჩვენი დავა-უთანხმოებისა არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ურთიერთობა—დამოკიდებულება უნდა იქმნას დაწესებული კავკასიაში მცხოვრებ ნაციათა შორის. ამბ. „ცენტრალისტები“ უარჰყოფენ ამათ ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას და კმაყოფილდებიან ამ ნაციების საერთო თვითმართველობით. ჩვენ კი ამას ენერგიულათ ვეწინააღმდეგებით და ვითხოვთ, რომ აქ მცხოვრები თვითეული ნაცია – თანახმათ თავის სურვილისა, რასაკვირველია—საკუთრივ თვითონვე ჰმართავდეს და განაგებდეს ყველა თავის ნაციონალურ-კულტურულ საქმეებს. აქედან თავის თავათ გამომდინარეობს ასეთი დასკვნა: ნაცია, რომელსაც არ მოეპოვება ერთიანი ტერიტორია, არამედ გაფანტულია მთელ ამ მხარეში, (მაგ. სომხობა) იგი ტერიტორიის მიუხედავათ შეადგენს ერთ ნაციონალურ ერთეულს, რომლის ყველა ნაციონალურ-კულტურულ საქმეების შესახებ კანონმდებელია მისი საკუთარი ნაციონალური საბჭო; ხოლო ის ნაცია, რომელსაც ხსენებული ტერიტორია მოეპოვება (მაგ. ქართველობა), შეადგენს ცალკე თვითმმართველ კანტონს, ერთ ნაციონალურ-ტერიტორიალურ ერთეულს.

ამ რიგათ, ამიერ-კავკასია უნდა იყოს ავტონომიური ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი და აქ, ამ ავტონომიურ ნაწილში, ბინადარი ნაციები საკუთრივ თვითვე უნდა იყვენ თავის ნაციონალურ-კულტურულ საქმეების ბატონ-პატრონნი. ასეთია მოკლეთ სქემა ჩვენი ნაციონალურ პროგრამისა.

დასასრულ, ერთი შენიშვნა.

ამბ. გრ. ურ. თავის ღია წერილს იწყებს იმით, რომ აღნიშნავს: „ამ გარემოებამ—ე. ი. „ჩვენი კვალის“ გამოსვლამ—ჩვენი ფედერალისტები მეტათ გაახარა. ისინი გატაცებით გაიძახიან: „ჩვენმა კრიტიკამ ნაყოფი გამოიღო, ურწმუნო თომანი დააჯერა, ს.-დემოკრატების ჯავშნიანი ხომალდი შევამტვრიეთ და სხ.“ ამხანაგი დასძენს, რომ იგი ამას არ აძლევს მნიშვნელობას, რომ მან ეს გაიხსენა „ისე, სხვათა შორის“; მაგრამ, ნამდვილათ კი, სოც.-ფედერალისტების დალხინებასა თუ მოწყენილობას დიდ მნიშვნელობას აწერენ ზოგიერთი ამხანაგები. სოც.-ფედერალისტებისაგან და სხვა ნაციონალისტებისაგან ამ ორგანოს პირმცინარეთ შეხვედრა, სამწუხაროთ, ბევრი ამხანაგისათვის სასკანდალო აღმოჩნდა. ამ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ ნაციონალისტებისაგან მოძღვნილი „კოპლიმენტები“ ნამდვილათ მოშხამული ისრებია, ჩვენსკენ ნატყორცნი... რა თქმა უნდა, ყოველი ბანაკი ცდილობს მოწინააღმდეგეთა პარტიაში გაჩენილი უთანხმოება თავის სასარგებლოთ გამოიყენოს. ეს აუცილებელი მავნე მხარეა ყოველივე უთანხმოების. მაგრამ ეს გარემოება კიდევ საბუთს არ გვაძლევს უთანხმოებას გზა გადულობოთ და ხელოვნურათ, შინაურის, ოჯახურის წესით ჩავაღრჩოთ. უთანხმოება აუცილებელი შედეგი და პირობაა ზრდა-განვითარებისა და წინ მსვლელობისა, და რომ უთანხმოებამ დაკარგოს ზემო აღნიშნული ცუდი მხარე, საჭიროა მას ფართე გზა მიეცეს ბუნებრივი მსვლელობისათვის.

მართალია სოც. ფედერალისტები ბევრს ლაპარა-

კობენ თავიანთ „საგმირო საქმეებზე“ „ჯავშნიან ხომალდისათვის“, მაგრამ საქმის გაგების მსურველი ყურს არ დაუგდებს ასეთ ზერელე ტრაბახს და ეცდება სხვაფრივ შეიტყოს ნამდვილი ვითარება. ყველამ, ვინც კი საქმეში ჩახედულია, იცის რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია ავტონომიის შესახებ ბჭობდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სოც. ფედერალისტები სულაც არ იყვენ გამოჩეკილნი. სოც.-ფედერალისტებს მხოლოთ ერთი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენთვის: იმათ ხელი შეგვიშალეს და დაგვიანეს ჩვენი საქმე. დიახ, თუ ჩვენი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიას დღევანდლამდე არ მიუღია სათანადო ნაციონალური პროგრამა, ამის მთავარი მიზეზია სოც.-ფედერალისტების პოლემიკა ნაციონალურ საკითხზე. ჩვენი ამხანაგეპი უმეტეს ნაწილათ და უმთავრესათ სწერდენ მოწინაალმდეგეთა მოსაგერებლათ, სოც.-ფედერალისტების დასამარცხებლათ და არა თვით საკითხის გამოსარკვევათ. და ასე ნაციონალურ პროგრამის შემუშავება ხდეპოდა „პარტიული ბრძოლის“ სათაურით. მთელი საქმეც განუწყვეტლივ განიცდიდა პარტიულ ბრძოლის ვნებათა-ღელვის ქარტეხილს. ..

მკითხველმა კარგათ უნდა გაიგოს ჩვენი აზრი. პარტიული ბრძოლა, რა თქმა უნდა, აქაც, როგორც სხვაგან, აუცილებელია და საჭიროა; ვნებათა ღელვა ბუნებრივია იქ, საითაც თათბირია ქვეყნის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებზე, მაგრამ პარტიულმა ბრძოლამ არ უნდა გაამრუდოს სიმართლის სასწორი და ვნებათა ღელვამ არ უნდა დაჩრდილოს ჭეშმარიტება.

ღია წერილი „ჩვენი კვალის“ რედაქციას

პატივცემულო ამხანაგებო!

რამდენათაც ვიცით „ჩვენი კვალი“ არის ორგანო ჩვენი ამხანაგების იმ ერთი ჯგუფისა, რომლებიც განსხვავდებიან პარტიის ოფიციალურ შეხედულებიდგან ავტონომიის საკითხში.

ამ გარემოებამ ჩვენი ფედერალისტები მეტათ გაახარა: ისინი ზატაცებით ზაიძახიან: ჩვენმა კრიტიკამ ნაყოფი ზამოიღო, ურწმუნო თომანი, დააჯერა ს.-დემოკრატების ჯავშნიანი ხომალდი შევამტვრიეთ, ის წაფენდა და, სადაც არის, სრულიად ჩაიძირება და ზღვის უფსკრული შთანთქავს და სხვა...

მარა ეს ისე, სხვათა შორის, თორემ ამას არსებითათ საკითხთან კავშირი არა აქვს და ჩვენც არ ვაძლევთ, რასაკვირელია, მნიშვნელობას. „ვისაც რა უნდა ისა სთქვას, მხოლოთ წისქვილმა კი ფქვასო“,—იტყვიან.

ჩვენს მოსაზრებას, რომ ეს ორგანო ნაციონალურ საკითხში საერთოთ პარტიის შეხედულების წინაალმდეგია, ამას ამტკიცებს „ჩვენი კვალის“ მეორე ნომერიც, სადაც არ. ჯ—შვილის საპასუხოთ შემდეგს ვკითხულობთ: „მართალია მხოლოთ ის, რომ ჩვენში მართლაც არიან ს.-დემოკრატები, რომლებიც ფიქრობენ, ვითომც რუსეთის „მთლიანობა“ ე. ი. **განაპირა ქვეყნების ავტონომიის უარყოფა ხელს უწყობდეს მუშათა სოლიდარობას!** *) მაგრამ არიან სხვები, რომლებიც ენერგიულათ უარს ყოფენ ასეთ შეხედულებას.“

ეს „სხვები“ კი ცხადია, თქვენა ხართ.

*) კურსივი ჩვენია.

კეთილი და პატიოსანი. მარა ჯერ ერთი, რომ შემცდარია ის აზრი, ვითომ ჩვენში იყვნენ ისეთი ს.-დემოკრატები, რომლებიც ვითომდა უარს ყოფდენ განაპირა ქვეყნების ავტონომიას. ეს რომ ასე არ არის, ეს თქვენც კარგათ იცით. განა ჩვენ წინაალმდეგი ვართ პოლშის, ფინლიანდიის ავტონომიის? ესენიც ხომ განაპირა ქვეყნებია? ასეთ ყალბ შეხედულებას ჩვენ „ისარ-ამირანელნი“ გვაწერენ, მხოლოთ დემაგოგიური მიზნით და რათ დაგჭირდათ თქვენ—ძალიან გვიკვირს.

ჩვენ ყოველთვის მომხრე ვართ ერის დამოუკიდებლობის პრინციპიალურათ. კაუცკი ამბობს: პროლეტარიატი ისე დაინტერესებულია თავის ერის დამოუკიდებლობაში, როგორც საყოველთაო საარჩევნო უფლებაში, სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლებაში. პროლეტარიატის ინტერნაციონალობა სხვა ერების დაჩაგვრას კი არ ნიშნავს, არამედ მათ თანასწორობას და სრულ უფლებიანობას“. **)

ამ დებულების წინაალმდეგი ჩვენ არას დროს არ ვყოფილვართ და სავსებით ვღებულობთ. მაშასადამე „ვითომც ჩვენ განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობის წანაალმდეგი ვიყოთ“, ვიმეორებ, არ არის მართალი.

ეს ერთი. შემდეგ, ჩვენ თანახმანი ვართ აგრეთვე იმაში, რომ ნაციონალური კითხვის საბოლოო გადაწყვეტა, მისი სრულიად გაქრობა-დასამარება შეუძლია მხოლოთ—სოციალიზმს. სანამ კლასობრივი ინტერესები და მისგან გამოწვეული კლასთა ბრძოლა არსებობს, მანამდის ერთა შორის ომი, დავა და შუღლი მუდამ იქნება. მოისპობა პირველი, მოისპობა მეორეც, რადგან პირველია მიზეზი, ხოლო მეორე შედეგი. ეს იმდენათ ანბანური ჭეშმარიტებაა რომ, ლაპარაკის გაგრძელება მეტათ მიმაჩნია.

ერთი სიტყვით ამ ორ საკითხში 1) ნაციონალური კითხვის საბოლოოთ გადაჭრა რომ სოციალიზმის საქმეა და 2) ერების დამოუკიდებლობის რომ ჩვენც პრინციპიალური მომხრე ვართ-ეს ჩვენ შორის სადაო და საკამათო არ არის.

მაგრამ ეს ზოგადი სალი შეხედულება ადგილის და დროს მიხედვით, ხშირათ შეუწყნარებელი ხდება. და აი ჩვენც ეს ზოგადი შეხედულება შეუწყნარებლათ მიგვაჩნია კავკასიისათვის. ჩვენი განსხვავებაც აქ იწყება და სადაოც ეს კითხვა ხდება. თქვენ აღიარებთ კავკასიისთვის ავტონომიის საჭიროებას, ჩვენ კი წინაალმდეგი ვართ. მაგრამ არ მგონია, რომ ამით ჩვენ მარქსს დავშორებოდეთ და მისი მოძღვრება ვერ გაგვეგოს.

მე მოგაგონებთ, რომ თვით მარქსი და ენგელსი მედგრათ იცავდენ იტალიელების, ვენგრელების, პოლიაკების და ნემცების ნაციონალურ მისწრაფებას. ნემცების ნაციონალურ მისწრაფებათა დაცვაში ისინი ისე შორს წავიდენ, რომ 1870 წ. საფრანგეთის რესპუბლიკის მხარეზე რომ არ გადასულიყვნენ, ნამდვილი ნემცების პატრიოტები გეგონებოდათ. მიუხედავათ ამისა ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი მუდამ არამც თუ უნდობლათ **უარყოფით** უყურებდენ სლოვიანების მცირე ნაციის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას ავსტრიაში და სათათრეთში.

აქედგან ცხადია, თუ რამდენათ შემცდარია ისინი, ვინც ამბობს, რადგან თქვენ (ე. ი. ჩვენ) კავკასიისათვის ავტონომიას უარსა ყოფთ, მარქსს დაშორდით და მისი არაფერი გაგეგებათო.

ამ გვარათ, როგორც ზევით ვსთქვი, ჩვენ შორის სადაო საკითხია: **ავტონომია კავკასიისათვის**. კითხვაც სწორეთ ასე უნდა დაისვას. კითხვის სისწორით გარკვევა-გადაჭრა დამოკიდებულია მის (ე. ი. კითხვის) სისწორით დასმაზე. ჩვენი წერილის მიზანიც სწორეთ ამაში გამოიხატება. ჩვენ გვაინტერესებს იმ აზრის გარკვევა, თუ რამდენათ კავკასიის ავტონომია ეთანხმება პროლეტარიატის ინტერესებს და ხელს უწყობს მის **კლასობრივ თვით-შეგნება, თვით-ცნობიერებას**. მეორე. რამდენათ ეთანხმება ამ საკითხში ჩვენ მიერ დაჭერილი პოზიცია მარქსისტულ

**) Нац. борьба въ Австріи.

დებულება-შეხედულებას. დარღვევა უკანასკნელის და დასაბუთება პირველის—აი მთელი ინტერესი კითხვის, რომელზედაც წერა და კამათი ფრიად საყურადღებო და საინტერესოა ჩვენთვის...

გრ. ურ.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში.

— საჩხერეში დაპატიმრებული, ექიმი ივ. გომართელი, ქუთაისის გენ.-გუბ. განკარგულებით, 22 ივლისს გაანთავისუფლეს.

— როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, კავკასიაში აპირობენ ნაშესტნიკობის გაუქმებას; მთავარმართებლათ მალე დანიშნავენ ბალტიის მხრის გენ.-გუბ. მელერ-ზაკომელსკის.

— ჩხრეკა-დაპატიმრება თბილისში გრძელდება. აპატიმრებენ მომეტებულ ნაწილათ ტრამვაიზე მომუშავეთ.

— წარსულ ოთხშაბათს წ. კ. გ. ს. გამგეობის თაოსნობით ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა ოც და ხუთი წლის თავის პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის და მწერლის სერგეი მესხის სულის მოსახსენებლათ.

— წ. კ. ს. გამგეობამ ილიას ფონდის გასაძლიერებლათ მიიღო სოხუმიდან 1000 მან. სულ ილიას ფონდში ითვლება 12000 მან.

— „გოლ. კავკ.“ მოთავსებული ცნობა ჯარის კაცთა განგებ მოწამვლის შესახებ ერთ-ერთ თბ. საპატიმროში, რომელსაც ის საგიტაციო მასალათ ხმარობდა, ტყუილი გამოდგა. ნამდვილათ ამბავი ასე ყოფილა: საპატიმროს დამცველ ჯარის კაცთ უსადილიათ სამ საათზე და საღამოს 5 საათ. ჩაი დაულევიათ, რის შემდეგ ცუდათ უგვრძნიათ თავი. მერე შესულან საპატიმროს ვენახში და იქ შაბიამანით შესხურებული შემოუსვლელი ყურძენი და მსხალი უჭამიათ. ამის შემდეგ უფრო ცუდათ გაეხდარან. ექიმის შემოწმებით იმ ჭურჭელს, საიდანაც ეძლეოდა ჯარის კაცთ საჭმელი, ჩამოსცლია კალა და სპილენძი გამოსჩენია; აი სწორეთ ეს და შაბიამანი ყოფილა ჯარის კაცთა მოწამვლის მიზეზი. მათ მალე დახმარება აღმოუჩინეს. ეხლა ყველანი კარგათ არიან.

— ამ ცოტა ხანში დაარსებულმა საზოგადოებამ „განათლებამ“ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა მას ნება მიეცეს დააარსოს თბილისში ერთი ორკლასიანი და მეორე ერთ-კლასიანი სასწავლებელი.

— ბათუმში გენ.-გუბ. განკარგულებით გაზ. „ბატუმსკი გოლოსი“ დააჯარიმეს 300 მან.

— თბილისში ჩამოვიდა ბელგიელ კაპიტალისტთა წარმომადგენელი ბ-ნი ლეევო, რომელსაც სურს ნებართვა აიღოს თბილისიდან კავკავამდე კავკასიონის მთების უღელტეხილზე რკინის გზის გაყვანაზე.

— რამდენიმე დღის წინათ სპარსეთის შაჰის ბიძაშვილმა, ამირ აზამ, რომელიც საზღვარ გარეთ მიემგზავრებოდა, სადგურ ბალაჯარასთან თავის კუპედან და ჯარგა ჩემოდანი, რომელშიაც ინახებოდა 1500 მან. ნაღდი ფული და 8500 მან. ღირებული ალმაზები, იაგუნდები, ორდენები და სხვა ძვირფასი ნივთები. შეატყობინა რა ნივთების დაკარგვაზე სად. პოლიციას, პრინცი წავიდა ბაქოში. მალე სადგურში მყოფ ჟანდარმებმა აღმოაჩინეს დამნაშავეები. ისინი აღმოჩნდენ ძმ. ალიევები (მოვაჭრეებია) და საჩაიეს პატრონი სეიდი. დაიჭირეს მათთან 13 წლ. ბიჭი, რომელზედაც აგრეთვე ეჭვი აქვთ. იპოვეს ჯერ-ჯერობით: ორი ოქროს და ორი ვერცხლის ვარსკვლავები სპარსულ ორდენ ლომისა და მზისა, რამდენიმე ოქროს და ბრონზის მედალი, ოქროს სამელნე, 67 ც. იაგუნდი და 300 მან. ფული. („ზაკ.“)

— მცხეთის ღვთისმშობლის ეკლესიიდან უცნობებს მოუპარავთ 9 ძვირფასი ქვა.

— განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, გურიაში დაპატიმრებული მამასახლისები ადმინისტრაციას გაუნთავისუფლებია.

— როგორც „ხომლს“ ატყობინებენ, 7 მაისს ქ. სოხუმში ნებადაურთველ კრებაზე დაპატიმრებულნი ანტიპა მგელაძის, რაჟდენ კილურაძისა და ილ. მგელიძის საქმე გადაუცია კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოსათვის. საქმე უნდა გაირჩეს სასჯელთა დებულების 102 სტ. ძალით.

— თბ. გენ. გუბ. განკარგულებით დაიკეტა სომხური ყოველ-კვირეული ჟურნალი „ერკი ძაიკი“.

რუსეთში.

— სიკვდილით დასაჯეს: ოდესაში—სამი, მოსკოვში—ორი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: პროსკუროვოში—ორს, ვარშავაში—სამს, ლიბავაში—ერთს, კიევში—ერთს, სუმაში—ორს, ხარკოვში—ოთხს, ოდესაში—სამს, პეტერბურგში—ოთხს, სარატოვში—შვიდს, სარატოვში—ერთს („რეჩი“).

— დააჯარიმეს გაზეთები: „კიევსკია ვესტი“ 500 მ., „ხერსონსკი ვესტნიკი“—500 მან. (მოთავსებული იყო ტოლსტოის წერილი „არ შემიძლიან გაჩუმება“); რადგანაც ფული ვერ გადიხადეს, გაზეთი დაკეტილ იქმნა. „ოდესსკოე ობოზრენიე“—1000 მან. (ტოლსტოის წერილს გამო), ლატიშის სატირიული კრებულის გამომცემელი დააჯარიმეს 500 მან.

— სევასტოპოლში დააპატიმრეს „იუჟნი ვესტნიკის“ რედაქტორი, რადგანაც თავის გაზეთში მოათავსა ტოლსტოის წერილი „არ შემიძლიან გავჩუმდე“. სტამბა, რომელშიაც იბეჭდებოდა გაზეთი, დაკეტილ იქმნა.

— პირველ იანვრიდან ივნისის გასულამდე მთავრობას დაუჯარიმებია სხვა და სხვა ქალაქებში დაახლოვებით 78 დრო გამოშვებით გამოცემანი 39,950 მან.

— ვოლმარის ციხიდან გაიქცა ოთხი თვალსაჩინო პოლიტიკური ტუსაღი.

— კინეშმში აღმოაჩინეს ს.-დ. სტამბა; დაიჭირეს 21 კაცი.

— გადაიწო $^3/_4$ ქალ. ტელშისა. 5 ათასი მცხოვრები უსახლკაროთაა დატოვებული. დაზარალებულთა უმეტესობა ებრაელებია. ქრისტიანებიდან დაზარლდა სულ 15 ოჯახი. ხმები დადის, რომ ცეცხლი განგებაა

წაკიდებული. ეპვით შეიპყრეს სამი კაცი. მრავალ მცხოვრების ქონება დაიტაცეს. ზარალი 2 მილ. მანეთს აღემატება.

— ოდესის მოკავშირეებმა გაუგზავნეს თეირანში ლიახოვს ქებათა-ქება იმის შესახებ, რომ ის ენერგიულათ გაუმკლავდა სპარსეთის მეამბოხე პარლამენტს და უცხო ქვეყანას უჩვენა სახელოვან რუს ყაზახების ძალა და მამაცობა.

— რუსის ხალხის კავშირის წევრი იუზეფევიჩი კიევში ახდენს კრებებს იმის გამოსარკვევათ, თუ რა ზომები უნდა მიიღონ სამხრეთ-დასავლეთ მხარეში ტოლსტოის იუბილეის გამართვის წინააღმდეგ.

—სახელმწიფო დუმის წევრები ჩილიკინი და მანკოვი ატყობინებენ გაზ. „რეჩს“ დეპეშით ბლაგოვეშჩენსკიდან, რომ მათ თავის თვალით უნახავთ, თუ როგორა სცემენ რუსი მუშები იმ ჩინელებს, რომელნიც მიემგზავრებიან ამურის გზაზე სამუშაოთ. ჩასიკოისში ინჟინერ ზეისტთან მუშაობს მრავალი ჩინელი, რომელნიც ხელფასის დაწევით აღელვებას იწვევენ თავის წინააღმდეგ. რამდენიმე მკვლელობაც კი მომხდარა ამ ნიადაგზე.

— ამ ოცტა ხანში გამოვიდა სატუსაღოთა მთავარ გამგეობის 1906 წლის ანგარიში, რომელშიაც მოთავსებულია საინტერესო ცნობები პატიმართა შესახებ. აღნიშნულ წელს საპატიმროებიდან გაქცეულა 3,231 კაცი. აქედან საპატიმროთა შენობებიდან გაქცეულა 1,899, საპატიმროთა ეზოებიდან—347, საავათმყოფოებიდან 207, მუშაობის და გარეთ ყოფნის დროს—778 კაცი, გაქცევის დროს დარაჯთა წინააღმდეგ აღგილი ჰქონია ძალმომრეობას 246 შემთხვევაში; აფეთქებას, თხრილებს და კედლების ჩანგრევას—480 შემთხვევაში; საპატიმროს დარაჯთა მოსყიდვა—51 შემთხვევაში.

როგორც ოფიციალურ ანგარიშებშია მოხსენებული, 1906 წლ. განმავლობაში ციხეში მომხდარ უწესოებათა რიცხვი უდრის 505. 11 შემთხვევაში ტუსაღებს მოუკლავთ სატუსაღოს ადმინისტრაციის მსახურები; 3-ჯერ გარედან დასცემიან სატუსაღოებს; 133-ჯერ თვით საპყრობილეშივე მოხდა უწესოებანი; აღმოჩენილ იქმნა თხრილი და ჩამოქცეული კედელი 240-ჯერ. ადგილი ჰქონდა ტუსაღებისაგან ტუსაღების მოკვლას 42-ჯერ, თავი მოიკლა 42 პატიმარმა, ცეცხლი წაუკიდეს სატუსაღოებს 34-ჯერ. უწესოების დროს მოკლეს 95 და დასჭრეს 140 ტუსაღი.

— სიმფეროპოლის ციხეში პატიმარმა კოკოცევმა გადაისხა ნავთი და თავი დაიწო.

— მოსკოვო-კურსკის და მურომის რკინის გზაზე მსახურთ აუკრძალეს მიიღონ მონაწილეობა პროფესიონალურ და პოლიტიკურ კავშირებში.

— ფინლიანდიის სენატმა უყურადღებოთ დასტოვა ფინლიანდიის რკინის გზის მმართველობის თხოვნა, აკრძალულ ყოფილიყო რკინის გზის მუშათა კავშირი.

— ბალახნის ციხიდან გაიქცა სამი თვალსაჩინო პოლიტიკური დამნაშავე.

— ბალტიის მხარეში 1908 წლ. პირველ ნახევარში ჩამოხრჩობა მიუსაჯიათ 126 კაცისთვის, კატორგაში გაუგზავნიათ 244 კაცი.

— 5 ივლისს, სოფ. ბელოზერინის (ნიჟნი-ნოვგოროდის ახლოა) გლეხებმა, რიცხვით 300 კაცმა, მოიყარეს თავი და გასწიეს ადგილობრივ მესაკუთრე გლეხების—ტიულენოვის და ლოშჩილოვის—სათიბისაკენ. გლეხები შეიარაღებულნი იყვნენ ცელებით და ძალიან ხელი აღებინეს მუშაობაზე ზემოხსენებულ მესაკუთრეთა მთიბავებს. გამოიწვიეს სტრაჟნიკები, რომელთაც აუტეხეს გლეხებს სროლა და დასჭრეს 5 კაცი. აღელვებულმა გლეხებმა უკან არ დაიხიეს და განაგრძეს თიბვა. გამოწვეულ იქნა ნახევარი ასეული ყაზახი და სტრაჟნიკები. გლეხები დაამშვიდეს. ბელოზერიხში მივიდა გუბერნატორი, პროკურორის თანამდებობის აღმასრულებელი, გამომძიებელი და სხვა. როგორც გამოირკვა, გლეხებს დიდიხანია სჭერიათ აღნიშნული სათიბი. უკანასკნელ წლებში ეს სათიბი მიუსაკუთრებია ორს გლეხს—ტიულენოვს და ლოშჩინოვს; ატეხილა დავა, რის შემდეგ, სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებით, უკანასკნელთ დარჩენიათ ადგილი. გლეხებს ამნაირი გადაწყვეტილება უკანონოთ მიაჩნდათ და თავის უფლებას ძალით იცავდენ... ამნაირი შეტაკება პირველი არაა თურმე. გამოძიების შემდეგ დააპატიმრეს 30 კაცი, რომელნიც ლისკოვსკის ციხეში გაგზავნეს.

ოსმალეთი.

გამოცხადებულ იქმნა იმპერიის მთელი პოლიტიკისათვის დიდათ მნიშვნელოვანი ირადე (ბრძანება). ამ ირადეს თანახმათ ოსმალეთის საერთაშორისო დამოკიდებულებანი უნდა ჩამოერთოს ილდიზ-კიოსკს (სასახლეს) და გადაეცეს უმაღლეს პორტას. აგრე ამიერიდან, სამინისტრო ფაქტიურათ შეუდგება ქვეყნის საქმეების მართვას.

— სტამბოლის მუზეუმის დირექტორი ჰამდი აპირობს ხელის-მოწერის გამართვას პარლამენტის შენობის ასაგებათ

— „Kossische Zeitung“ ამბობს ოსმალეთის საქმეების შესახებ, რომ ოსმალეთის ცვლილებისათვის ახალი და მრავალ-მნიშვნელოვანია ის, რომ ჯერ კიდევ პარლამენტის მოწვევამდე იწმნიდება ადმინისტრაცია. სხვა გვარათ იყო საქმე სხვა ქვეყნებში, სადაც პირველი, მეორე, და მესამე პარლამენტის მოწვევის შემდეგაც ახეინათ განაგრძობს ძველი ადმინისტრაცია პარპაშს ისე, როგორც ოსმალეთის ფაშები.

— ლონდონის დეპეშების ცნობებით ახალგაზდა-ოსმალთა მოძრაობას არ აჩნია დიდი ნაციონალურ სიმძულვარისა. ახალგაზდა-ოსმალნი, ბერძნები, სომხები, ებრაელები და მაკედონიის სლავიანები ძმურათ განაგრძომენ მუშაობას განახლებულ სამშობლოს ასაყვავებლათ.

— მშვენიერი ბოსფორის ნაპირას მხიარულებენ ოსმალნი, ილდიზის გარშემო საერთო აღფრთოვანებაა და დიდებული მანიფესტაციები. სადაც გუშინ მეფობდა

დესპოტიზმი და აღვირ-წახსნილობა, დღეს გამოცხადებულია კონსტიტუცია.

— ოსმალეთის მომავალ პარლამენტის ქვედა პალატაში იქნება 480 დეპუტატი; ზედა პალატაში—160. ოსმალეთის ყველა მობინადრე მცხოვრებთ განურჩევლათ ეროვნებისა ეყოლებათ თავიანთი წარმომადგენელნი.

— სტამბოლში ძველი რეჟიმის მომხრეები უკვე შეუდგენ ნაძირალებისა და ციხიდან ახალგანთავისუფლებულ სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან სულთანის მომხრე პარტიის შედგენას, რომელიც იქმნება „ოსმალთა შავი რაზმი.“

— ოსმალეთში უკვე დაბრუნდა 80 ათასი მუსულმანი ემიგრანტი და 60 ათასი სომეხი.

— სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირ. ვედ.-“ს, რომ ოსმალეთში საქმეები იწეწება. სულთანი იმყოფება ახალგაზდა-ოსმალთა კომიტეტის ხელში. კომიტეტი არ კმაყოფილდება სამსახურიდან უკვე დათხოვნილი პირებით და სულ უფრო და უფრო ენერგიულ მოთხოვნებს უყენებს სულთანს. სულთანისგან თხოულობენ კონსტიტუციის სრულ უზრუნველყოფას. ის გარანტიები, რომელიც არსებობს, არ მიაჩნიათ საკმარისათ.

სპარსეთი.

თავრიზი. 21 ივლისს ნაშუადღეივს ორი საათიდან მზის ჩასვლამდე და დღეს მზის ამოსვლიდან გრძელდება თოფების ხშირი სროლა. 20 ივლისს ოსმალეთის კონსულმა მიმართა მუშტეიდებს, რომ მოუღონ ბოლო ერთმანერთის შორის ხოცვა-ჟლეტას, თორემ ოსმალეთის მთავრობა, რომლის ინტერესები ილახება სპარსეთში, იძულებული იქნება ჩაერიოს საქმეში და მიიღოს ენერგიული ზომებიო.

— სტამბოლში მცხოვრებმა სპარსეთის ქვეშევრდომმა 100 ათასმა კაცმა დეპეშით აცნობა შაჰის, რომ თუ ის სრულ კონსტიტუციას არ დაუწესებს, ჩვენ ყველანი ოსმალეთის ქვეშევრდომობას მივიღებთო.

— „რუს. სლოვო“-ს 18 ივლისის თარიღით აუწყებენ თეირანიდან: შაჰის მთავრობა ამ ჟამათ საშინელ ფინანსიურ კრიზისს განიცდის. საქმე იქამდეა მისული, რომ თავრიზში ჯარის გასაგზავნათ ვერ უშოვიათ ფული. სპარსეთის სამხედრო სამინისტრომ 10 ათასი თუმანი სთხოვა ავანსათ რუსეთის ბანკს, მაგრამ ბანკმა უარი უთხრა. შაჰის მთავრობა ტრაღიკულ მდგომარეობაშია. მეჯლისის განადგურების შემდეგ საფრანგეთის ფინანსისტებმა შეაწყვიტეს მოლაპარაკება სესხის მიცემის შესახებ.

ცოტა რამ ქართულ მხატვრულ ლიტერატურასე.

(ბასუსათ „ამირანს“).

„ამირანის“ 103 ნომერში საინტერესო მეთუარი იყო დაბეჭდილი; საინტერესო არა თავისი სერიოზული შინაარსით, არამედ თავისი შეცდომებით.

ამ მეთაურის მიზეზათ, როგორც შიგვე არის ნათქვამი, გამხდარა „ჩვენ კვალში“ მოთავსებული წერილები ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე.*)

„ამირანის“ პუბლიცისტს რომ ცოტა მეტის დაკვირვებით წაეკითხა ის წერილები, მე მგონია, იმ კილოთი და იმ შედარებით აღარ დასწერდა თავის წერილს, როგორც ეხლა დაუწერია.

უადგილო აღელვებას, როგორც ეტყობა, ძალიან შორს გაურბენია მისი მეხსიერებისა და დაკვირვების ნავი; ამ ღელვით უნდა შთანთქას ზემო-აღნიშნულ წერილებში გამოთქმული აზრი და ამ ღელვაშივე უნდა აღმოაცენოს ახალი საშუალება ჩვენი ლიტერატურის ასაყვავებლათ.

ის იკვლევს ჩვენი მწერლობის დაცემის მიზეზს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ ეს მიზეზი ყოფილა ჩვენი მწერლების გულწრფელობის უქონლობაში. გულწრფელობა კიდევ არა ჰქონიათ ჩვენ მწერლებს იმიტომ, „რომ ისინი არ მეცადინეობენ ან ვერ მეცადინეობენ“.

ფსიხოლოგი, სოციალურ ცხოვრების მოანალიზეც სწორეთ ასეთი უნდა...

ლიტერატურის შეჩერების მიზეზი, რამდენადაც შეგვეძლო, ჩვენც ავხსენით, ამიტომ მის გამეორებას აქ აღარ მოვუნდებით. ვისაც ეინტერესება—შეუძლიან წაიკითხოს „ჩვენი კვალის“ მეოთხე ნომერში. იქ ჩვენ სხვა მიზეზებთან ერთათ დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით მატერიალურ დაბრკოლებას. სწორეთ ეს მატერიალური დაბრკოლება არა სწამს „ამირანს.“ **) წარმოიდგინეთ, ოდნავათაც კი (საოცარია) არ აღნიშნაკს მის გავლენას ლიტერატურაზე! ის გაიძახის „რომ ბევრჯერ უცდიათ წიგნების გამომცემლობით სალიტერატურო აღორძინება გამოეწვიათ სხვაგანაც და ჩვენშიც და ყოველთვის ეს ცდა უნაყოფოთ ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ საქმე კარგი ნაწარმოების დაწერაა, თორემ თუ იგი დაიწერა—გამოცემა ადვილი საქმე გახლავს“.

რომელი ქართული გამომცემლობა აკმაყოფილებდა ყოველ იმ პირობებს, რაც ჩვენ მეორე წერილში არის ჩამოთვლილი, არ შეიძლება გვითხრათ?

საქმე კარგი ნაწარმოების დაწერაა! საქმე ნიჭი არის, თითქო ნიჭი გარეშე პირობების ზე-გავლენას არ ემორჩილებოდეს!

ნიჭი, ეს თესლია, რომლის გასანაყოფიერებლადაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, უიმისოთ ის გახმება, გასჭკნება, ან ჩიტების საზრდოთ გადაიქცევა.

ცხოვრება რთულია, ლიტერატურის ასპარეზიც რთულია. მის ასაყვავებლათ განა თუ საჭიროა ერთი რომელიმე მიზეზის მოსპობა, გინდა უმთავრესისაც, არამედ უნდა მოისპოს ყველა ის მიზეზები, რომელთაც რამდენიმეთ მაინც შესამჩნევი დამაბრკოლებელი გავლე-

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 4, 7.

**) ისეთ მიზეზებზე, თუ ჩვენი ბამოჩენილი მწერლები რათ გამოდიოდენ თითქმის მარტო თავადებიდან და რატომ ეხლა კი აღარ ბამოდიან, „ამირანი“ არაფერს ამბობს.

ნა აქვთ ლიტერატურის განვითარებაზე. უნდა მოვსპოთ, თუ კი შეგვიძლიან იმისი მოსპობა!

პირობები განა თუ მარტო უამრავ ნიჭს მარხავენ ადამიანში, ისე რომ მის ერთი სხივის დანახვასაც ვერ ვასწრებთ; არამედ თვით გაღვივებულ ნიჭსაც ხშირათ აქრობენ.

განა პირობებმა არ ჩააქრეს ნინოშვილის ნიჭი? და განა მარტო ნინოშვილის ნიჭი?!.

რუსეთის ლიტერატურას ისეთი უდიდესი კელაპტართაგანიც კი, როგორიც იყო დოსტოევსკი, ისიც კი იძულებული იყო მთელი სიცოცხლე ქედმოხრილი ეარა პირობების მძიმე უღელ ქვეშ, რაც შესაფერ დაღს ასვამდა იმის მძლავრ, უმაგალითო ნიჭს. განა მთელი სიცოცხლე სულ იმას არა სჩიოდა, ნეტავი ერთი რომანი მაინც დამაწერინა ისე მშვიდობიანათ, როგორცა სწერენ ტურგენევები, გონჩაროვები და ტოლსტოებიო? სიცოცხლის უკანასკნელ დროს, როცა მიაღწია თავის სანატრელ სურვილს და უზრუნველ ჰყო თავის ცხოვრება, მართლაც აკი დასწერა „მშვიდობიანათ“ ერთი რომანი, რომლის ფასიც ჯერ არც ერთი არ დაეწერა.

თქვენ მეთორმეტე საუკუნეს ადარებთ ჩვენ ეხლანდელ დროს. მეტი სერიოზობა მოგეთხოვებოდათ, ბატონებო, მეტი, ვინემ ეგრე ზერელეთ მაგალითების მოყვანა!

თქვენის აზრით ნიჭიერები მარტო იმ ერთ საუკუნეში ყოფილან; არც იმაზე წინეთ და არც იმის შემდეგ ჩვენ დროამდის აღარა ყოფილან მაშ ისეთი ნიჭიერები, ჰა?

ჩვენ კი გეუბნებით—მაშინ **პირობები** იყვენ ისეთი, რომ ნიჭს თავისუფლათ შეეძლო გაეშალა ფრთები და სავსებით ეჩვენებინა თავისი ძალა. მაშინ ლიტერატურა არ საჭიროებდა ბაზარს; მწერლის არსებობაც ოდნავათაც არ იყო დამოკიდებული თავის ნაწარმოებზე და ყოველთვის თავისუფლათ შეეძლოთ წერა, თუ კი ამისთვის ხელს უმართავდა ცოდნა და ქვეყნის მშვიდობიანობა.

ჩვენ დროს კი მწერალი იძულებულია დღის საუკეთესო დრო გაატაროს კანტორაში, ქარხანაში, მაღაზიაში და სხვაგან. შემდეგ კი, თუ კიდევ დარჩა დრო და შესწევს ცოტაოდენი ხალისი, დასწერს რამეს ისე, სხვათა შორის.

ამ პირობებში მოითხოვთ თქვენ კარგ ნაწარმოების დაწერას! როცა ეგრე ლაპარაკობთ, ჩვენ ძალაუნებურათ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ ნიჭს ან ჯერ არ გაუღვიძია, ან თუ ანთებულა, მაშ ცხოვრების გრიგალს ჯერ არ დაუბერია მისთვის და არ ჩაუქრია, ჯერ მას არ შემთხვევია ცხოვრების ბარიკადებზე ბრძოლა და არ შეხვედრია პირისპირ მის დაბრკოლებას! უიმისოდ მაშ როგორ უნდა სთქვათ, რომ ნიჭიერი პირობები აქ არაფერ შუაშიაო?

მართალია, პირობებიც რომ კარგი იყოს, შეიძლება რუსთაველისთანა არც ერთი არ გამოჩნდეს, მაგრამ რუსთაველი გამოკლება იყო, რუსთაველს ვერ დავუმორჩილებთ ჩვეულებრივ კანონებს, როგორც ვერ დავუმორჩილებთ შექსპირს, გეტეს და სხვას, და ვერც ჩვეულებრივ მწერლებს დაუწყებთ ზომვას მის საზომით, მაგრამ იმისთანები კი, როგორიც იყვენ შავთელი, თმოგველი და სხვა, ვის სახელიც ჩვენამდის არ მოსულა, ბევრი გამოვა ყოველთვის (იყვნენ კიდეც XIX საუკუნეში), თუ კი შესაფერი პირობები იქნებიან.

თქვენ არ მოგწონთ ჩვენი წინადადება, იმიტომ რომ ის პალიატივურია. მაგრამ რაღა ჩვენ წერილებზე გაიღვიძა თქვენმა კრიტიკის ჟინმა? განა დუტუ მეგრელი იმავე პალიატივებს არ დაეძებს ხოლმე თქვენი გაზეთის ფურცლებზე? რატომ იმას აღარ უწევთ კრიტიკას? და თუ ჩვენი საშუალება ბევრით უფრო მახლობელია და შესაძლო, ამისთვის თქვენ უნდა ხელი მოგემართათ და არა თუ დაგენგრიათ, დაგეშალათ და გაგექარწყლებინათ.

მაგრამ იქნება იმიტომ მოინდომეთ იმისი გაქარწყლება, რომ თქვენ უკეთესი რეცეპტი გქონდათ ჩვენი ლიტერატურის განსაკურნავათ?

მართლაც იძლევით რადიკალურ საშუალებას და ეს რადიკალური საშუალება ყოფილა ჩვენი მწერლობის კულტურული დონეს ამაღლებაში და კიდევ **გულწრფელობაში.**

საოცარია, რიგორ უნდა აამაღლოთ კულტურული დონე, როცა ჩვენი მწერლები იძულებულნი არიან დღემუდამ იმუშაონ ქარხანა-კანტორა-მაღაზიებში? როცა მათ ამისთვის არ შესწევთ შესაფერი **დრო** და **სასაშუალება**? აი კიდევ გორკი! როცა მან მწერლობა დაიწყო მისი „კულტურული დონე“ ფრიად დაბლა იდგა; მაგრამ მწერლობაში მან ეს დონეც აიმაღლა და თავისი ნიჭიც უმაღლეს წერტილამდის გაზარდა.

თვითონ მწერლობაშივე იზრდება (მხოლოთ არ იბადება) და კეთილშობილდება ადამიანის ნიჭი. ჩვენში კი არ არის მწერლობის შესაფერი ასპარეზი და ამიტომ ნიჭიც რჩება იმავე დონეზე, როგორზედაც იწყებს თვის პირველ მუშაობას.

რაც შეეხება გულწრფელობას აქ აშკარავდება თქვენი ნამდვილი მიამიტობა, მიამიტობა, განა თუ მარტო კითხვის თავისებურ ახსნაში, არამედ ბუნების კანონების გაუგებრობაშიც. რომ გულწრფელობა კაი საქონელია, ამაში ყველა გულწრფელი ადამიანი დაგეთანხმებათ, მაგრამ გულწრფელობა ხომ ბუნებრივი თვისებაა და მისი ხელოვნურად შექმნა ჩვენ არას დროს არ შეგვიძლიან. ის შედეგია მრავალ შთამომავლობისა და ათასნაირი პირობების კომბინაციისა.

თქვენი საშუალება ფრიად განყენებულია. ის კაცის ბედისა და შეძლების გარეშე სდგას!

თქვენ ისე მაღლიდან დასცქერით ცხოვრებას, რომ მის მრავალ არა სასურველ, მაგრამ ანგარიშ გასაწევ აუცილებელ პირობებს ვეღარ ამჩნევთ. ამ შემთხვევაში თქვენ თქვენის გულწრფელობით მოგვაგენებთ სწორეთ

რაფაელის ღრუბლებში მოცურავე მადონას თავის პატარა იესოთი.

როგორცა ვთქვით, გულწრფელობა ჯერ ერთი არ შეგვიძლიან შევქნათ ხელოვნურათ; მერე და გულწრფელობა არის მწერლის მხოლოთ ერთი კარგი სულიერი თვისებათაგანი და არა ის ნიადაბი, რომელზედაც უნდა აღორძინდეს ადამიანის ნიჭი.

ჩვენ გეუბნებით, გავაკეთოთ ის რაც ჩვენ ხელთ არის. ჩვენი შეძლებისა დაგვარათ მოვსპოთ ყველაფერი ის ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომლებიც გზას ულობავენ როგორც არსებულ, ისე მომავალ მწერლების ნიჭის წინსვლასა და აყვავებას. გავაუმჯობესოთ რამდენიმეთ მაინც ის მატერიალური პირობები, რომლებიც შავი მაჯლაჯუნასავით აწვებიან კაცს დღევანდელი ცხოვრების ყოველ სფერაში.

თქვენ ძალიან პლატონიური წარმოდგენა გქონიათ ცხოვრებაზე: არც კი გინდათ შეხედოთ ნივთიერ პირობებს და ჩვენც გვიკიჟინებთ, თუ რათ ვახსენეთ ისინი, რა ვუყოთ? ჩვენი ბრალი ხომ არ არის, რომ ადამიანის ნიჭს საზიზღარი ლითონის, ფულის კარები აბია. ეს ხომ კაპიტალისტური წეს წყობილების საერთო სენია! ჩვენი ვალია ზოგჯერ გავაღოთ, ზოგჯერ შევამტვრიოთ ეს კარები, რომ ამით საშუალება მოგვეცეს მუდმივი დამოკიდებულება ვიქონიოთ ადამიანის ნიჭთან; რომ დავსტკბეთ მის ცქერით, მის სმენით, მის მგრძნობიერობით და არა თუ ვიჭყიტოთ ამ კარების ჭუჭრუტანებიდან.

ჩვენ დიდი სიამოვნებით უარვყობდით ჩვენ აზრს, რომ „ამირანს“ მართლა რამე რადიკალური საშუალება წამოეყენებინა და შევუერთდებოდით მას, რადგან ჩვენ სიამაყეს ვხედავთ არა უადგილო ჯიუტობაში, არამეთ სიმართლისა და სისწორის ჩქარა მიხვედრასა და შეთვისებაში; მაგრამ სამწუხაროთ ეს ასე არ არის, ამიტომ, დაე „ამირანმა“ „გულწრფელათ“ უარყოს ჩვენი წინადადება, ჩვენ მაინც მივაქცევთ წ.-კ. საზოგადოების ყურადღებას „ჩვენი კვალის“ მეშვიდე ნომერში მოთავსებულ წერილის შინაარსზე და იმედია თავის დროზე შესაფერ პასუხსაც გაიღებს.

ლევ. მეტრეველი.

მ ე ბ ო ტ ბ რ ე ბ ს.

—

აღვმართოთ დროშა მტარვალთ სამუსრად,
ჭირს შევეჯახოთ, ვით ბერ-კეტს გრდემლი,
კაცს დავუბრუნოთ უფლება კაცის,
მოვსწმინდოთ თვალზედ ტანჯულ ერს ცრემლი!
შევჯგუფდეთ ერთად!..
საგნად და ღმერთად
ჩვენ გავიხადოთ სულ წინ სვლა ბრძოლით;
შევგლიჯოთ ზღუდე
და მტარვალთ ბუდე
აღმოვფხვრათ მედგრად ძმურის მიწოლით!..

—

მრავალ რაზმად ვართ ჩვენ დაყოფილნი,
მაგრამ საგანი ერთი გვაქვს ყველას:
თვითეულ ჩვენგანს ერთგვარად მოსთხოვს
ხალხი ტვირთ-მძიმე ხსნასა და შველას.
ჩხუბის ალმურში
მაბრძოლთა გულში
სხვა და სხვა ხერხი პოვილობს ბინას:
ზოგი იბრძვის ხმლით,
ზოგიც მკაცრის ხმით
მტერს თავ-ზარსა სცემს და უსწრებს წინას!

—

ნუ დავივიწყებთ მშობელ ქვეყანას!
მან დიდ-ხანს გვკვება ტკბილის ძუძუთი;
მტარვალთ ველურის ძალ-მომრეობით
მას მოსწამვლია ცხოვრების წუთი.

სიკვდილი სამშობლოსათვის.
სურათი ბელგიელ მხატვარ ვიერტცისა.

ერთს გვარ დღეში მყოფს,
ორს მწარს ავათ-მყოფს
რომელს სჭირია საჩქაროდ შველა?
უჭირისუფლოს?
თუ, ვინც თვით უფლობს
თავის თავსავე და სარჩლობს ყველა?!

—

განსაზღვრული აქვსთ სხვებს ბრძოლის ბოლო,
ჩვენ კი თავს გვაწევს ჭირი ორ-გვარი:
ვიბრძვით ჩვენ, მაგრამ ჯერ კი არ ვიცით
სად უნდ დავუდვათ ბრძოლას საზღვარი!
მაგრამ ამ ყოფას
ფუ! ვინც დასდებს ფასს!
იგი ცოცხლადვე დამარხულია...

დროც ხომ ეს არი!
ვტყორცნოთ ისარი,
სანამდი შვილდი მომართულია.

—

კაცობრიობა ხესა ჰგავს დიადს,
ტოტებ გადაშლილს და გალაღებულს,
იმის სიცოცხლის ძალთა საზრდელად
ზედ ააქვს საზრდო მისს ფესვთა კრებულს.
ეს არის წესი:
თუ გახმა ფესვი,
ჭკნობას დაიწყებს ხე ახოვანი
და რა დრო განვლის,
ფუჭად ჩაივლის
ფესვთა ამაგი მრავალ-წლოვანი.

—

კაცობრიობის ფესვია ერიც:
ის ზრდის მსოფლიოს დიდ-აზროვნებას
და ვინც ერს უკლავს თვისებურებას,
კაცობრიობას დიდს აძლევს ვნებას!
აღვმართოთ დროშა მტარვალთ სამუსრად,
ჭირს შევეჯახოთ, ვით ბერ-კეტს გრდემლი,
კაცს დავუბრუნოთ უფლება კაცის,
მოვსწმინდოთ თვალზე ტანჯულ ერს ცრემლი!

ცახელი.

დედეგი.

(მოთხრობა.*)

II.

— დედა მოვიდა! დედა!

— რა მოგვიტანე, დედიკო?

ერიამულით გამოეგებენ ბავშვები დესიკოს.

— არაფერი, შვილო, ბაზარში არ ვყოფილვარ! უთხრა ღიმილით დესიკომ.

— უი და, და, და! .. რა მარგალიტი ყმაწვილები გყოლიათ გენაცვალე, ქალბატონო! შესძახა ნატომ.

ბავშვებმა რომ უცხო დედაკაცი დაინახეს, შერცხვათ, და უკან გადგნენ.

— უჰ, დავიღალე! სთქვა დესიკომ და მოქანცული დაეშვა ტახტზე.

— აქ ბინადარი მცხოვრები ბრძანდები, ქალბატონო, თუ დროებით ჩამობრძანებულხარ? იკითხა ნატომ და თვალი მოავლო ოთახს.

— კარგა ხანია, რაც აქა ვართ. ჩემი ქმარი სახაზინო პალატაში მსახურებს.

— კაი სრული, ნათელი ოთახები კია, რას აძლევთ!

— თვეში ხუთ თუმანს.

— რავდენი თვალია? აღარ ჩერდებოდა ნატო.

— სამი, მოკლეთ უგებდა პასუხს დესიკო, რომელიც ამ წუთებში ლაპარაკის გუნებაზე არ იყო.

— წაიყვანეთ, შვილო, ნატო სამზარეულოში, საბედას უთხარით დროზე სადილი დააჩქაროს, საცაა მამაც მოვა, მანამ მეც ცოტათი დავისვენებ, მიუბრუნდა ღიმილით დესიკო შვილებს.

— მართლა, აბა ერთი წავიდეთ, გენაცვალეთ, ვნახო ჩემი საქმე რა არის, რომ ბარემ ხელი მოვკიდო, მიატანა ნატომ.

— ლაპარაკი ძალიან ჰყვარებია, სხვაში თუ რამე ხეირი აქვს, გაიფიქრა დესიკომ და წამოწვა ტახტზე.

— აქ წამო, მოდი აქა, აგერა ჩვენ სადა გვძინავს!.. ტიტინებდა სამი წლის თიკა, ნატოსთვის კაბაში ხელი ჩაეკვლო და მიჰყავდა. მეორე ბავშვიც სიცილით უკან მისდევდა. ნატო შეიყვანეს ფართო ოთახში, სადაც საწოლები ჩამწკრივებულიყო.

— აი ამაში არჩილსა სძინავს, აქ მე, აქ დედასა, აქაც მამასა.

— მართლა, გენაცვალე! იშ, იშ, რა მშვენიერი დივნებია და და და!... მე არ ჩამაწვენთ?

— ჩაგაწვენთ!.. თავს უქნევდა თიკა. ბავშვები ახლა სამზარეულოსკენ გაუძღვენ ნატოს.

— საბედ, ამას შეხედე... აი დედამ ვინ მოიყვანა... შესძახა არჩილმა.

ხანში შესულმა ქალმა, რომელიც ხორცსა კეპავდა, მოიხედა და გაიღიმა.

— რაღა გიშავთ! ხვალის იქით მეც ველარ დავდგებოდი... კაი დროს მოგესწროთ, სთქვა მან და აუყენა დანებს კაკუნი.

— შენ რისთვის მიდიხარ?... ჰკითხა ნატომ და ჩამოჯდა სკამზე.

— სახლში მიბარებენ, უფროსი შვილი ავათ გამხდომია.

— დროებით მიდიხარ თუ?... ჰკითხა კვალად ნატომ.

— რაკი წავალ, იქიდან ვიღა გამომიშვებს. ეხლა საქმის დროა.

— ქალაქში გაჩვეული სოფელში როგორღა გასძლებ?

საბედამ გაოცებით შეხედა ნატოს.

— ჩემ სახლში ვერ გავძლებ?.. ჩემ სახლში რომ ნაცარი ვშუშო, სხვის კარებზე ნაზუქების ჭამას მირჩევნია. ამ ოჯახის გარდა მე ჯერ არსად არა ვყოფილვარ, ღმერთმა აცოცხლოთ, პატიოსანი ხალხია, თვითონ ქალბატონი ჩვენი მჯერელია, მაგრამ მაინც ჩემს სახლში მირჩევნიან. ჩემი პატარა ბიჭის პალიას დანახვა მთელ ქვეყნათ მიღირს, სთქვა საბედამ და სიამოვნებით გაიღიმა.

— შენ სადღაური ხარ, ქალო? ჰკითხა ბოლოს საბედამ, როდესაც დაინახა ჩაფიქრებული ნატო.

— მე?.. სოდან ვარ.

— ბეჩა და ჩვენი მეზობელი ყოფილხარ. რომელ ოჯახიდან?

*) იხ. ჩვენი კვალი № 9

ნატო დაიბნა, კარგა ხანს ვერ ახერხებდა სიტყვის თქმას.

— ანდურაშვილიანთგან, ბოლოს წარმოსთქვა მან.

— რა ვქნა, ვერ მომიაზრებია... მე იქაურებს თითქმის ყველას ვიცნობ... ჩვენ სოფელში ხშირათ ჩამოდიან ხოლმე.

— მე კაი ხანია, რაც აქა ვარ... ბარე... ბარე ათი წელიწადი იქნება, რაი ჩემ სოფელს მოვშორებივარ, სთქვა ფიქრიანათ ნატომ და გვერდზე გაიხედა.

— მას აქეთ მოჯამაგირეთ დადიხარ?.. მაგისთანა ყმაწვილ ქალს, ან ქმარი არა გკითხულობს, ან შვილი?. არა გვანებიან ჩემ მოხუცებულ კაცსა. ეხლაც ლამის კბილით შემჭამოს, მეჩხუბება, სხვასთან რათა ხარო...

— ქმარი?.. განა ყველას ქმარი ქმარია!.. ჩემმა ქმარმა დიდი ხანია ხელი აიღო ჩემზე და აღარც კი იცის, სადა ვარ. რაში ვეკითხები, სწორე გითხრა ეხლა აღარც მე მეკითხება, დაუმატა ნატომ და მძიმეთ ამოიოხრა.

— შვილები არა გყავს? ჰკითხა საბედამ და გაკვირვებით მიაჩერდა ნატოს.

— ერთი ბიჭი მყავს, ისიც მამასთან არის.

— ის მაინც აღარ გაგონდება?

— ეჰ, ჩემო დაო, სადაც ჩემთვის სიკეთე არ არის, იქ ყველას თვალებიც გამოხეთქია, უპასუხა ნატომ იმნაირ ხმაზე თითქო ამითი უნდოდა მოესპო ეს უსიამოვნო ბაასი.

ბავშვებს მოსწყინდათ დედაკაცების ლაპარაკი, გამოვიდნენ აივანზე და დაიწყეს თამაშობა. ამასობაში სადილობაც მოახლოვდა; საბედამ სუფრა გაშალა; მიიშველია ნატოც. ნატოსთვის ბევრი ჩიჩინი საჭირო არ იყო, ეტყობოდა სამსახური კარგათ იცოდა.

— ეს დედაკაცი მარჯვე ჩანს, მაგრამ როგორღაც ამისი შეუფერებელი სისრულე თვალში მეჩხირება...ესეც ხომ ქალბატონივით მძიმეთ არ არის?.. ფიქრობდა საბედა და კვალათ დაკვირვებით მისჩერებოდა ნატოს.

III

საბედა იმ დღესვე წავიდა. დარჩა დესიკო ნატოს ამარა, რომელმაც ჩინებული მზარეულობა გამოიჩინა! და ბავშვებსაც ეფერებოდა.

დესიკო დამშვიდდა, დარწმუნდა, რომ ნატოსაც არა უშავდარა, მაგრამ რაც დრო მიდიოდა ნატოს სახე უნაღვლიანდებოდა და ხშირათ ოხრავდა. დესიკომ შეამჩნია ეს ცვლილება. ნატო თანდათან დაზანტდა და წინანდელის ხალისით ველარ ჰკიდებდა საქმეს ხელს.

— ნატო, ავათა ხარ? ჰკითხა ერთ საღამოს დესიკომ, როდესაც ბავშვებმა დაიძინეს.

ნატო შეკრთა, ფერმა გადაჰკრა, მაგრამ მაინც მივიდა ქალბატონთან და ჩაჯდა მის გვერდით.

— ეჰ, ქალბატონო, არც კარგათა ვარ, სთქვა მან ნაღვლიანათ და მძიმეთ ამოიოხრა.

— მე დიდი ხანია გატყობ, რომ კარგა არა ხარ. ღამე ცუდათ გძინავს?..

— ათასი დარდი და ვარამი რა ძილს გააჩერებს ჩემთან, ქალბატონო!... თქვენ როდის მოელით მორჩენას? ჰკითხა მან შემდეგ და ნიდაყვზე სახე დაანდო.

— მე?...მალე...ამ ცოტა ხანში...

— თქვენა ბრძანეთ ძიძა უნდა დავიჭიროო?

— ჰო, საუბედუროთ რძე არ დამყვება ხოლმე და რა მეტი ღონეა!... ნაღვლიანათ უპასუხა დესიკომ.

— მაშ...მაშ, ქალბატონო. მე დაგიდგებით ძიძათ! გაუბედავათ წარმოსთქვა ნატომ..

— შენ ძიძათ?! განა შენც ბძიმეთა ხარ?! ჰკითხა გაოცებით დესიკომ.

— დიახ, მაგრამ.. ეჰ, ქალბატონო, აღარ შემიძლიან მოვითმინო, რომ ჩემი გაჭირვება არ გითხრათ, განაგრძო ნატომ.

— მძიმეთ იყავი და აქამდის არ მითხარი!.. ეგ კარგათ ვერ მოგვიდა, ჩემო ნატო, უსაყვედურა დესიკომ.

— დალოცვილო, მერე ამითი რა გავაფუჭე? საქმეს ხომ გიკეთებ. მელოგინეს მოგივლი, ბავშვებს მივხედავ და სხვაც ამაზე მეტს რას გასიამოვნებდა?

— ეგეები როგორ უნდა შესძლო?.. შენ თვითონ რომ მოინდომო, მე როგორ უნდა გაგსარჯო, თუ მე არ შემიძლიან არაფრის გაკეთება, შენც ხომ ჩემს მდგომარეობაში ხარ?.

— იი, შენ კი გაიხარე, ქალბატონო! შენი საქმე და ჩემი ერთი არ არის. შენთანაც რომ არ ვიყვე, გულხელ დაკრეფილს ვინ დამსვამს?.. საქმე უნდა გავაკეთო, სანამ... სანამ ლოგინში ჩავეგდებოდე.

— როდის ელი მორჩენას? ჰკითხა შიშით დესიკომ, რადგან წარმოიდგინა, რომ შეიძლებოდა სწორეთ საჭირო დროს დარჩენილიყო მარტოთ.

— ამ თვეს გავიყვან. ფიქრი ნუ გაქვს ნურაფრისა, ე ლოგინიდან კი აგაყენებ და მერე რაც უნდა მომივიდეს.

— სად აპირებ მორჩენას? თუ ჩემი იმედი გაქვს, ხომ ხედავ, რომ მე თვითონაც რა გაჭირვებაში ვარ... დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტათ დესიკომ და თან თვითონვე ეძნელებოდა გაჭირვების დროს დახმარების უარის თქმა...

— განა მე თვითონ არ ვიცი, ქალბატონო, მაგითი როგორ შეგაწუხებ, მაგრამ სიტყვით ერთ რამეში კი უნდა დამეხმარო.

— სთქვი... თუ კი შემიძლიან დიდის სიამოვნებით.

— გენაცვალე, ქალბატონო, არ შეიძლება მომიხერხო, რომ მშობიარეების სახლში უფულოთ მომალოგინონ... გამიგონია, საწყლებისათვის არის ის სახლიო და ჩემზე საწყალი ვინღაა?

— რატომ. ერთი ნაცნობი ბებია ქალი მყავს და მოველაპარაკები, მაგრამ, საკვირველია, შენმა ქმარმა როგორ გამოგიშვა მაგ მდგომარეობაში მყოფი გარეთ? დაუმატა დესიკომ და შეხედა ნატოს.

— ეხ, სადღა მყავს ქმარი ან სხვა ვინმე!. წყალსა და მეწყერს უზიდნიათ ჩემი ცოდით. ბარე ხუთი წელი-

წადია, რაც ჩემი ოჯახი თვალით არ დამინახავს, იმ უბედურათ სატარებელმა გამომაგდო. სამი წელიწადია ერთ კაცთანა ვცხოვრობ აქ ქალაქში...ერთი შვილი იმასთან მყავს. ახლა მეორეზე რომ დავმძიმდი, ამანაც სახლში აღარ დამაყენა, დაუმატა ნატომ და თვალებში ცრემლები მოერია. დესიკო თანაგრძნობით უყურებდა ნატოს.

— ახლა რა უნდა ჰქნა, შე საწყალო?... ჰკითხა მან.

— ქალბატონო, მართალია, რომ თავშესაფარში ბავშვებს მიაგდებენ ხოლმე ჩემისთანა გაჭირვებულები და ისინიც ზრდიან? ჰკითხა ნატომ.

— მართალია, მაგრამ შენთვის მაინც სამძიმო იქნება.

— რა გენაცვალე?..

— ის რომ, შენთვის სამუდამოდ დაიკარგება ბავშვი, აღარ გეცოდინება ვისთან არის, ან როგორია!

— ეჰ, დალოცვილო, აბა თუ ჩემ ხელში დარჩა, ვინ იცის რა სანუკვრებს არ გამოვულევ. ე ჩემ ხელშიაც კარგი არა დაეყრებარა და აზრი ის არა სჯობიან, არ ვიცოდე იმათ ხელში რა მოუვა? ერთი შვილი პირველ ქმართან დამიტოვებია, მეორე მეორე კაცთან და თუ კი უიმათოთა ვძლებ, ეს რაღა ნატვრის თვალი იქნება! ნეტაი კი მომიხერხდებოდეს, თორემ მაგაზე არ შევწუხდები, სთქვა ნატომ და ამოიოხრა.

— რას ამბობ, ნატო, მაგას?! შესძახა დესიკომ.

ნატომ შეხედა ქალბატონს, რომელსაც წარბები შეჰკროდა, ლოყები დასწითლებოდა, სახეზე აღშფოთება ეტყობოდა.

— გული რას გეუბნება? კვალათ დაეკითხა დესიკო.

— გულიც იმას მეუბნება რასაც სიტყვებით ვამბობ... დაუდევრათ უპასუხა ნატომ.

— ნატო, იმათ ხომ ხედავ! შესძახა აღელვებით დესიკომ და ხელი გაუწვდინა იქით, საიდანაც მოისმოდა მშვიდობიანი სუნთქვა ბავშვებისა.

— ორი შვილი მყავს, მესამესაც ეხლა ველი; შეიძლება კიდევაც თან გადავყვე მაგრამ, მე მაინც უამათოთ ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ. ვერ წარმომიდგენია, რა უნდა ვიყვე უამათოთ? .

— არ გაგჭირებიათ და იმიტომ.

— რაც უნდა გამიჭირდეს, ლუკმაც რომ არა მქონდეს, მაინც ჩემს შვილებს გულიდან ვერ მოვიხსნი და მათთან ერთათ შიმშილით მოვკვდები.

— თქვენი საქმე სხვაა, ქალბატონო! დარცხვენით წარმოსთქვა ნატომ.

— რა სხვა? განა შენც ჩემისთანა ქალი არა ხარ, განა შენც დედა არა ხარ?..

— ეჰ, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა და რა ვქნა...

— ამ წუთამდის მეცოდებოდი, მაგრამ ეხლა... ველარ გაათავა სიტყვა დესიკომ და აღელვებისაგან ხმა ჩაუწყდა.

— განა ეხლა კი საბრალო არა ვარ? ყრუთ ჩაილაპარაკა ნატომ და ჩაჩუმდა. როდესაც დესიკომ გაიგონა მისი უკანასკნელი სიტყვები, შეჩერდა, გულშიე ჩაიბრუნა სათქმელი სიტყვა.

— მე შემეძლო არა განმემხილა რა, მაგრამ, როდესაც დაგინახე, რომ კეთილი იყავ, მეგონა მართალს რომ გეტყოდი, უფრო შემიბრალებდი და დამეხმარებოდი... წარმოსთქვა ნატომ. დესიკო ღელავდა. ველარას ამბობდა. მაგრამ ბოლოს კარგა სიჩუმის შემდეგ უფრო ლმობიერათ მიმართა ნატოს.

—ვთქვათ კიდევაც დაგეხმარე და თავშესაფარში მიგიღეს, მერე რას აპირებ?...

— ბავშს იქ მივიყვან და თუ მიმიღებ, ძიძათ მოვალ შენთან.

— ოხ, არა!. მე შენ ძიძათ არ გამომადგები!.. შესძახა აღშფოთებით დესიკომ.

— რატომ? ძიძებს ხომ მაინც თან არ მიჰყავთ გასაზრდელებთან თავიანთი შვილები?

— ისინი შვილებს თავის ოჯახში სტოვებენ და ქუჩაში არა ჰყრიან!

— თქვენა გგონიათ ყველანი?

— ალბათ.

— არა, ქალბატონო, ბევრი მათგანი სტყუის, იგონებს, ისევე იქცევა, როგორც მე... იმათ იყვანენ იმიტომ, რომ სტყუიან და მე კი, რაკი მართალი ვთქვი, უარს მეუბნები?... მაგრამ თქვენი ნებაა, რახან თქვენ არ ამიყვანთ ძიძათ, სხვასთან არ წავალ და ისევ იმასთან დავბრუნდები...

— ვისთან?.. ჰკითხა დესიკომ.

— ჩემ საყვარელთან. დამშვიდებით უპასუხა ნატომ.

— როგორ?! შესძახა შეშფოთებით დესიკომ.

— შენ კიდევ მიდიხარ იმასთან, ვინც გაგაუბედურა და არ შეგიცოდა?.. ვისიც წყალობით შვილს ქუჩაში აგდებ?.. ან მიგიღებს კია?..

— უბავშვოთ მიმიღებს. რა ვქნა, ქალბატონო, მაინც და მაინც რომ სთქვას კაცმა, არც მე ვარ იმასთან სულ პირნათელი.

— როგორ?

— ეს ბავშვი იმისი როდია.

— მაშ ვისია?

— მე თვითონაც არ ვიცი, რომელია ამისი მამა.

— ღმერთო, ეს რეები მეყურება? დაღუპული, უბედური ყოფილხარ და მართლათაც საცოდავი ხარ. რო იცოდე, ნატო, მაგ ცხოვრებას რა საშინელი ბოლო მოსდევს!.. თვითონვე შეძრწუნდები!..

— რაც იქნება იქნება. ალბათ ჩემი ბედი ასეა და რას ვიზამ! კვლავ გაიმეორა ნატომ და სახეზე დაუდევრობა გამოეხატა.

ამათი ლაპარაკი შეწყდა, რადგან ამ დროს დათიკო შემოვიდა ოთახში.

მთელ ღამეს არ მოუსვენია დესიკოს. მუდამ თვალწინ უდგა ნატო და მაზე ფიქრობდა. სწყევლიდა იმ შემთხვევას, რომელმაც ის დესიკოს სახლში შემოიყვანა და იმის საშინელ საქციელში თითქო უნებური თანამოზიარე გაიხადა.

— მაშ უნდა დავეხმარო?.. უნდა დავეხმარო, გზა გავუწმინდო, რომ ყველა ეს სისაძაგლე მოახდინოს?! ოხ, არა! არა, მე ნება არა მაქვს!.. ძალზე სძგერდა, კენესოდა დესიკოს გული. წამს თვალთწინ წარმოუდგა უბედური ჩჩვილი ყრმა, რომელიც ქუჩაში სადმე კუთხეში იყინება, წარმოუდგა უზრუნველი ნატო, გარეული გარყვნილ ხალხში...

„განა უფრო არ უნდა შემიბრალო?!.“ ჩაესმა ამ დროს ყურში ნატოს ხმა და დესიკო კიდევ უფრო აღშფოთდა.

— არა, მე ამას ხვალვე დავითხოვ!. ფულს ვაჩუქებ, მაგრამ მაინც დავითხოვ! იმეორებდა დესიკო თავისს გულში.

— თავშესაფარში რომ ვერ შევიდეს, რას იზამს?.. შეიძლება კიდევაც მოჰკლას, დაარჩოს და ისე გაინთავისუფლოს თავი მისგან!.. ამ გახსენებაზე დესიკოს გონება მთლათ აერია და შეშინებული საჩქაროთ დაუბრუნდა იმავე აზრს, რომ როგორმე თავშესაფარში ადგილი უშოვოს.

(შემდეგი იქნება).

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.

სოფელში.

—

. აღარსით ისმის ხმა იმედისა,
სოფლათ სიჩუმე გამეფებულა,
სძინავს ხალხს დაღლილს, შეურაცყოფილს,
თითქოს სამუდმოთ დაკნინებულა!..
ვხედავ გარშემო სამშობლო მთები
გლოვისა ძაძით შემობურულა
და მის კალთები ტანჯულთ გულიდან
დანთხეულ სისხლში ამოწურულა!
ფიქრი, ცრემლები, ოხვრა და კვნესა,
ირგვლივ გოლგოთა გულ-შესაზარი!
არ სჩანს არც ბოლო, არც დასაწყისი,
სად არის ნეტავ ბედის საზღვარი?..

—

მო, ქარ-გრიგალო, შემოახიე
ტანჯულ ქვეყანას გლოვის ზეწარი,
მო, განთიადო, კვლავ აგვიჟღერე
იმედის ხმაზე ჩანგი მკვნესარი!
მო, გაზაფხულო აგვიმცენარე
მინდორ, ტყე, ველი, ამწვარ-ამხმარი;
ამცნე ქვეყანას ხმა იმედისა,
გამოაფხიზლე ხალხი მძინარი!
მო, შენც ნიავო, წყნარათ დაქროლე,
ააშრე ველათ სისხლის ტბორები,
მოგვეც ჰაერი, სულს არ ხუთავდეს
მძვინვარ მხეცთაგან ანაშმორები!
ან განმაშორეთ ტანჯულ ქვეყანას,
მომიკალთ გრძნობა, გამიპეთ გული,
ნუ შემიბრალებთ, მწარე ცხოვრების
მტყორცნეთ ზვირთები განდიდებული!
თუნდ ზღვის უფსკრულში გადამისროლეთ!
დე, იქ ჩაინთქეს სიცოცხლე კრული,
თვალთ აღარ ძალუძს პარტახ სამშობლოს
უცქიროს მარად აცრემლებული!..

დარია.

პროვინცია.

ს. ჩოჩხათი (გურია). 1905 წლამდის ჩოჩხათის საზოგადოებაში იყო სულ ორიოდე სასწავლებელი, ადგილის უქონლობის გამო მრავალი ბავშვებისთვის სკოლის კარები მუდამ დახშული იყო. ამას ნათლათ ხედავდა საზოგადოება და კიდეც სურდა ჩაეყენებია სწავლა-აღზრდის საქმე უკეთეს პირობებში; ამისთვის სხვა და სხვა ალაგას, სადაც მეტი საჭიროება მოითხოვდა გახსნეს კიდევ ხუთი თითო კლასიანი სასწავლებელი, იმ იმედით რომ, სადაცაა სამოსწავლო მთავრობა დაინახავს ამ ჩვენს გარჯილობას და შესაფერ დახმარებასაც გაგვიწევსო. ხუთი შენობის აგება სკოლებისთვის და შვიდი მასწავლებელის შენახვა, სხვა ათასგვარ გადასახადებთან ერთათ, ისეთ მძიმე ლოდათ დააწვა კისერზე უამისოთაც გაძვალტყავებულ ხალხს, რომ მას აღარ შერჩენია არავითარი სახსარი, რომ სასურველათ მოეწყოს ეს ახალ აგებული სკოლები; ამ ნაირათ —გარდა ცარიელი კედლებისა, დამტვრეული დაფისა და ორიოდე მოწაფეების უშნოთ გამოთლილ სტოლებისა, არავითარი სხვა სწავლებისთვის აუცილებელი ხელსაწყო ნივთები სკოლაში არ მოიპოვება. აშკარაა, რომ თვალსაჩინოთ შეაფერხებს სწავლა-აღზრდის საქმეს ასეთ ცუდ პირობებში ჩაყენებული სკოლები. ყოველივე ამას, რასაკვირველია, კარგათ ხედავს სახალხო სკოლების გამგე ბ-ნი კ. მაჭავარიანი და ის ამას წინეთ კიდეკ დაგვპირდა, რომ სკოლების მოსაწყობათ უსათუოთ აღმოგიჩენთ ხაზინიდან დახმარებასო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ, ეს დაპირება ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა, და ჩვენი სკოლები კი ძველებურათ უყურადღებოთაა დატოებული.

აბესაშვილი.

ს. გუბი (ქუთ. მაზრა). 7-8 წელიწადია რაც აქ არსებობს ერთ კლასიანი საქალებო სამინისტრო სკოლა, რომელსაც მასწავლებლის ჯამაგირათ ყოველ წლიურათ სამოსწავლო მთავრობა აძლევდა 400 მანეთს, მაგრამ დღემდე ხსენებული სკოლა ვერ ეღირსა საკუთარ შენობას. წელს უკანასკნელი წინადადება მისცა სამოსწავლო მთავრობამ ხალხს, რომ მომავალ სამოსწავლო წლის დაწყებამდე თუ საკუთარ სახლს არ აუშენებთ, სკოლა დაიხურება და ის 400 მანეთი სხვა სასწავლებელს მიეცემაო; ამის გამო სკოლის მზრუნველმა ილარიონ სვანიძემ მოიწვია ხალხი, და აუხსნა საქმის მდგომარეობა,

და თან ისიც დასძინა, რომ თუ სკოლის შენობის კეთებას დავიწყებთ, სამოსწავლო მთავრობა ერთ-დროულათ 300 მანეთს კიდევ გვეხმარებაო.

მიუხედავათ ასეთი საშუალებისა, აღმოჩნდა ისეთი პირები, რომელნიც სკოლის წინააღმდეგ წავიდენ, მაგრამ კრებამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიკრიბოს კომლიდან 2 მან.—60 კ. (ეს ფული სკოლის დაარსების დროს იყო გაწერილი, მაგრამ ზოგს დღესაც არა აქვს გადახდილი, ამგვარათ დარჩენილია შესაკრები 165 მან.) ვისზედაც არის დარჩენილი და დაუყონებლივ შეუდგენ სახლის შეძენისათვის ზრუნვას.

მთავრობას დაუმტკიცებია აქაური ვაჟების სკოლის ორ-კლასიანათ გადაკეთება, რომელიც ნათხოვნი ქონდა ამ სკოლის მზრუნველს განსვენებულ ნ. წერეთელს, და თან 500 მ. ყოველ წლიურათ უფროსი მასწავლებლის ჯამაგირსაც იძლევა, მაგრამ წელს შეუძლებელია იმისთვისაც შენობის შეძენა, რადგან ხალხი ეკონომიურათ ძალიან დაცემულია, და თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ეს სამი წელიწადია რაც სიმინდი საყიდელი აქვს, და თან მრავალგვარი გადასახადები ყოველ დღე კარს ადგია,— ადვილი მისახვედრია მათი აუტანელი მდგომარეობა. ამის გამო, ძლიერ კარგს იზამს ხსენებული სკოლის მზრუნველი ბ. მოსეშვილი თუ სამოსწავლო მთავრობასთან იშუამდგომლებს და მეორე კლასს წელს გახსნიან პირველი კლასის ოთახებში; ეს შესაძლებელია, რადგან წელს მეოთხე განყოფილებაში 14 ბავშვია გადასაყვანი, და ესენი კარგათ მოთავსდებიან ხსენებულ ოთახებში.

აქ ერთი კარგი შემოსავლის წყარო გლეხებისათვის მეაბრეშუმეობაა, მაგრამ წელს ამ დარგმაც წარმოებისამ ვერ მისცა ხალხს ჩვეულებრივი მოსავალი. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ სხვა სიყალბესთან ერთათ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის ყოფილმა გამგეობამ უვარგისი თესლები დაარიგა, რის გამო მოსავალი სხვა წლებთან შედარებით საზოგადოთ განახევრდა.

როგორც სხვაგან ჩვენს სოფელშიაც იციან ქელეხით ტირილი; მაგრამ სოფლის ერთმა ნაწილმა მოილაპარაკა და გადაწყვიტა მოსპოს ეს ჩვეულება, რაც ჯერ-ჯერობით კიდეც მოყავთ სისრულეში.

ქელეხის მოსპობასთან ერთათ მოისპო სამეზობლო გადასახადიც—50 კ. ეგრეთ წოდებული გადასახურავი. სასურველია, რომ სხვებმაც მიბაძონ ხსენებულ ჯგუფს.

ლადო მოსეშვილი.

ს. ახალ-ქალაქი. 20 ივლისს, ელიათობას, აქ გაიმართა „ილიას საღამო“ ქ. ქ. ეკ. გაბაშვილის, ერისთავ-ბოგუჩარსკისა, მარ. კეზელისა და საფაროვის თაოსნობით. გამოცხადებული იყო, რომ საღამოს 7 საათიდან ბ-ნი ილია ნაკაშიძე წაიკითხავდა ილიას ბიოგრაფიას. თავის დროზე შეკრებილმა საზოგადოებამ ილოდა საღამოს 9 საათამდე, მარა მას ლექტორი არ ეღირსა. ბოლოს „საღამო“ გახსნა ბ-ნ ივანიძემ. ამან ექსპრომტათ, მარა მჭახეთ, გამოცდილ ორატორის ეშხით, წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. ხალხმა ფეხზე წამოდგომით პატივი სცა მგოსნის ხსოვნას. მერე ითამაშეს გლახის ნაამბობიდან გადმოკეთებული 3 მოქ. დრამა „ბატონი და ყმა“. პიესა მწყობრათ ჩაატარეს. კარგათ თამაშობდენ ბ. ბ. ჟვიძე, ჯანდიერი, საფაროვი და თვითონ რეჟისორი, ბ-ნი ივანიძე. დაბოლოს გაიმართა დივერტისმენტი. ბავშმა ქიქოძემ მშვენიერათ წაიკითხა ლექსი „ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“!

ანტრაქტებზე სმენას „ატკბობდა“ დაფა-ზურნა: უკრავდენ ჯამბაზის სათამაშო ხმას. დარბაზში განუწყვეტელი ჟრიამული იდგა ბავშვებისა, ხმაურობდენ მოზრდილებიც და ყველა მხარეზე, ყველა კუთხიდან მოისმოდა რუსული ლაპარაკი. ერთმა მანდილოსანმა პირველივე მოქმედების შემდეგ მთელ დარბაზზე გულუბრყვილოთ განაცხადა: „я ничего не поняла!“

მაყურებელთ შეადგენდა განსაკუთრებით „ბრწყინვალე“ წოდება. გლეხ-კაცობიდან თითქმის არავინ დასწრებია; სოფელი უკიდურესობამდეა მისული, მას ამ ჟამათ ეგზეკუცია უყენია დაკარგულ მებატონე გ. თარხნიშვილის გამო.

ელო.

გურიის ამბები.

გურია. მოსავალს არც ისე საიმედო პირი უჩანს, როგორც აქნობამდე გვეგონა. თითქმის ერთი თვის გამუდმებულმა გოლვამ ძალიან გაუჭირა საქმე განსაკუთრებით ღომს. ასე, რომ ხალხი არც მომავალ წელს იქნება უზრუნველ-ყოფილი შიმშილისაგან...

— სიმინდი დღეს 1 მ.—10 კაპ. ფასობს...

— ქურდებთან ბრძოლა ერთათ ერთი მწვავე კითხვათაგანია. დღეს გურიაში... ამას წინათ ნაგომარში გაცარცვეს აფთიაქი. ამის გამო ჩოხატაურის ბოქაულმა მოსთხოვა ს. ბუკნარს ქურდები. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გადიხადონ 3000 მანეთი. ამ პირობაზე უკვე მოაწერია ბოქაულმა ხელი სოფლიდან არჩეულ ხუთ კაცს.

საზოგადოთ ქურდობა და ძარცვა-გლეჯა არა თუ მცირდება, პირ-იქით უფრო ვრცელდება. ხალხი ითმენს ერთი მხრით ქურდებიდან მოყენებულ ზარალს და მეორე მხრით მთავრობის მიერ—ეგზეკუციებისა და ჯარიმების სახით...

— საზოგადოების, და განსაკუთრებით მდინარე სუფსის პირათ მცხოვრებთა ყურადღებას მივაქცევთ ერთ გარემოებას: დ. ნაგომარიდან დაწყებული ვიდრე ჩოხატაურამდე და ხიდისთავამდე ადგილობრივი მცხოვრებლები ბავშვებს ატანენ პირუტყვებს საძოვრათ გზის პირებში და ჭალებში. ბავშვები იყრიან თავს აქ ათობით და ოცობით და ვინ იცის რა სისაძაგლეს არ ჩადიან: აგინებენ, და ლანძღავენ ერთი მეორეს და ხშირათ

მუშტი-კრივითაც და ქვებითაც დაერევიან ერთმანეთს. თვითონ ჩვენ გვქონია შემთხვევა არა ერთხელ დავსწრებოდეთ ამ საძაგელ სცენას, სადაც ბავშვები მისეოდენ ერთმანეთს ხეებით ხელში ყვირილითა და ლანძღვა გინებით. ერთი მეორეს წაესევიან ხშირათ ორი გვარის ბავშვები, რაც მით უფრო აღმაშფოთებელია, რაც ბადებს მათში შურს და სიმძულვარეს სხვა გვარისადმი ამას ხშირათ მოყვება ხოლმე უბედური შემთხვევა. აუცილებელი საჭიროა, როგორც მშობლებმა ისე სხვებმა მიაქციონ ამას სერიოზული ყურადღება.

არნერი.

მ უ შ ა თ ა შ ო რ ი ს.

თბილ. ტრამ. დირექტ. ალიბეგოვი და მუშები. ბ-ნ. ალიბეგოვი, როგორც თვითონ განაცხადა—მე გამგეობამ იმიტომ გამომგზავნა, რომ გავაუქმო თქვენი (მუშების) შეთანხმებანი, რადგან ფრიდმანს არა ჰქონდა უფლება გამგეობისაგან მოეცა თქვენთვის რამე,—არა ყოფილა გამოგზავნილი საქმეების მოსაწესრიგებლათ, არამედ მუშებთან საბრძოლველათ, და უფლებების წასართმევათ. ბ-ნ. ალიბეგოვმა თავისი სიტყვა საქმეთ აქცია და რომ უფრო ადვილათ დაერღვია შეთანხმებანი, უპირველეს ყოვლისა, გააუქმა საამხანაგო კომისიები (თუ რას აკეთებდნენ ეს კომისიები, ამაზე ცალკე), რის შემდეგაც გაეხსნა ფართოთ სამოქმედო გზა და ყოველდღე არღვევდა შეთანხმებებს. ბ-ნ ალიბეგოვს ყველაზე მეტათ მიაქვს იერიში იმ მუხლებზე, სადაც მოხსენებულია 8 საათის სამუშაო დრო, ჯამაგირე`ის მომატება, დათხოვნილ მუშების დაჯილდოვება; რაც შეეხება დანარჩენ წვრილმან მუხლებს, ისინი თავისთავათ გაუქმდებიან, თუ კი ეს უმთავრესი მუხლები აღარ იქნება. მაგრამ ბ-ნ. ალიბეგოვს არ ცოდნია, რომ ეს უმთავრესი მუხლები შეთანხმებისა ფრიდმანის დროს კი არ იყო შემუშავებული, არამედ წინანდელ დირექტორებსაც უწერიათ ხელი, და თუ ფრიდმანის დროს ცოტა რამ დაემატა, ჩვენ მუშები ვეუბნებოდით, საქმეს კონფლიქტამდის ნუ მიიყვანთ, გავმართოთ მოლაპარაკება, განვიხილოთ რომელი მუხლების დარღვევა გინდათ, და თუ თქვენი საბუთები საკმარისათ გვიჩვენებენ, რომ ის არ შეუძლიან აიტანოს წარმოებამ, ჩვენვე გავაუქმებთო.

ბ-მა ალიბეგოვმა სიტყვით გამოგვიცხადა თანხმობა, რომ არაფერი საწინააღმდეგო არა ექნება რა საქმის მშვიდობიან გათავების შესახებ. ჩვენც დავიჯერეთ ბ-ნი ალიბეგოვის სიტყვები. ის გვეუბნებოდა, რომ მუხლების შეცვლა თუმცა მაქვს განზრახული, მაგრამ ისე არ შევცვლი, რომ ერთი თვით ადრე მაინც არ შეგატყობინოთ წინ, და ჩვენც ველოდებოდით როდის გამოაქვეყნებდა თავის შეთანხმებებს, რომ გავგვერჩია და შევთანხმებულიყავით. 17 აპრილს გამოაცხადა გამგეობის მიერ მოწერილი წერილი, რითაც გვეუბნებოდა „გამგეობა არა სცნობს კანონიერათ თქვენ შეთანხმებას". მუშებმა ამას წერილობითი პასუხი გასცეს და ალიბეგოვს ჰკითხეს: რა იქნა ის შეთანხმება, რომლის განხორციელება საჭიროთ მიგაჩნდათ? ჩვენ ისევ განვაგრძნობდით ლოდინს და ალიბეგოვის ყოველივე უკანონო მოქმედებას კულტურულ საშუალებით ვაძლევდით პასუხს; ის იძულებული ხდებოდა უკან დაეხია და ეძებდა ხრიკებს, რომ მუშები გაფიცვაზე გამოეწვია. 30 ივნისს კიდევაც გამოვიდა სახელოსნოსა და „ცენტრალნი სტანციის" მუშების საყურადღებოთ შემდეგი განცხადება: „თანახმათ გამგეობის მოწერილობისა, ამიერიდგან გაუქმებულათ გაცხადებ „შეთანხმებას" და ყოველგვარი პრეტენზია ამის გამო უარყოფილი იქნება". ბ-ნ ალიბეგოვის ასეთმა რეაქციონურმა მოქმედებამ გვაიძულა აგვერჩია წარმომადგენლები მასთან მოსალაპარაკებლათ, რითაც ერთხელ კიდევ მოვაგონეთ მშვიდობიან მოლაპარაკებით გათავების საქმე. ბ-ნ ალიბეგოვმა უარი განაცხადა. „რის მოლაპარაკება გინდათ ჩემთან, გაიძახოდა ის, ამის ნება არა მაქვს. თუ არ გინდათ იმუშავოთ ამ პირობებში, თავისუფლები ხართ; თუ გაიფიცებით, ესეც თქვენი ნებაა".

მუშ. წარმომად. მიმართეს უმფროსს საფაბრიკო ინსპექტორს და ქალაქის თავს თხოვნით მოელაპარაკნათ მათ ალიბეგოვთან, რომ მან საქმე არ გაამწვავოს. ზემოხსენებულმა პირებმა, როდესაც დაწვრილებით გაიგეს, თუ რაში იყო საქმე, ურჩიეს ალიბეგოვს მშვიდობიან მოლაპარაკებით დაებოლოვებია საქმე; უკიდურეს შემთხვევაში პასუხის მგებელი თქვენ, ალიბეგოვი, იქნებით და არა მუშებიო. ალიბეგოვმა ჩვეულებრივათ სიტყვებით მოგვცა იმედი, რომ თანახმაა გაიმართოს მოლაპარაკება, რის შემდეგ 11 და 12 ივლისს უფროსს საფაბრიკო ინსპექტორის თავმჯდომარეობით მოხდა ორი კრება. ამ კრებებზე სათითაოთ იქმნა განხილული თვითეული მუხლი შეთანხმებისა. მუშ. წარმომადგ., როგორც უწინ, ახლაც წამოაყენეს სამი კითხვა 1) ძალაში დარჩეს 8 საათის სამუშაო დღე; 2) არავინ იქნას დათხოვნილი უმიზეზოთ; 3) არავის დააკლოს არსებულ ხელფასიდან. თუ ამ სამ პუნქტში შევთანხმდებით—ამბობდნენ ისინი—და ალიბეგოვი მოგვცემს ამაში წერილობით გარანტიას სამი წლის ვადით, დანარჩენ მუხლებში დათმობა შეგვიძლიან, თუ არა და ლაპარაკი სულ უბრალოთ დროის დაკარგვააო. ბ-ნ. ალიბეგოვი დაგვთანხმდა, გარდა 8 საათის სამუშაოსი, რომელიც უნდა შეატყობინო გამგეობასო და რადგანაც მისი 30 ივნისის განცხადება ძალაში შედიოდა 14 ივლისს, ითხოვა დრო, ასე რომ დაგვთანხმდა ზემოხსენებული განცხადება ჩაითვალოს 20 ივლისიდან გამოცხადებულათ და არა 30 ივნისიდან. მეორე დღეს უარი განაცხადა და თუმცა გადასდო განცხადება, შენიშვნა გაუკეთა, „ხელფასის მომატების შესახებ ძალაში რჩება 30 ივნისის განცხადება" და თანაც დაუმატა „მე მგონია ჩვენ არაფრის გულისათვის არ შევთანხმდებითო." აქედანვე სჩანს, რომ ბ-ნ ალიბეგოვს სურს გამოიწვიოს მუშები ბრძოლის ველზე, რომ ადმინისტრაცია ჩაერიოს საქმეში და ყოველისფერი თავის სასარგებლოთ გამოიყენოს, და თუ გაურბის მოლაპარაკებას, ეს იმიტომ, რომ სიმართლე არ გამოირკვეს, როგორც ეს მოხდა 11 და 12 ივლისის კრებებზე, სადაც ბ-ნ ალიბეგოვს საფაბრიკო ინსპექტორები ურჩევდნენ, რომ მუშების წინადადება და საშუალებები წარმოების გასაუმჯობესებლათ მისაღებია და თქვენი საბუთები და საშუალებები კი სულ უმნიშვნელოა და არა სასურველიაო, და რომ

სიმართლე გამოამჟღავნებს იმ მიზეზებს, თუ ვინაა დამნაშავე ტრამვაის უწესოებისა. ამას გაურბის ბ-ნი ალიბეგოვი, მაგრამ როდემდის? ბ-ნი ალიბეგოვი მოქმედებით სცდილობს ჩაგვაუნოს მუშები იმნაირ პირობებში, რომ სუნთქვაც კი არ შეგვეძლოს და გაამეფოს ის ძველი რეჟიმი, რომელიც განიცადა მუშათა კლასმა 10—15 წლების წინათ. დაე სახოგადოებამ დასდოს შსჯავრი ბ-ნ ალიბეგოვის და მუშების მოქმედებას.

ტრამვაიელი.

ხალხისადმი გულშემატკივრობა თუ კუჭის საკითხი?

(პასუხი ბ. სოფლის მასწავლებელს—იმერელს.)

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს ის, თუ რა ლანძღვა-გინების და ცილისწამების ბუდეთ არის, დღეს-დღეობით მაინც, გადაქცეული ზოგიერთი ჩვენი გაზეთები. რა მარგალიტები არ გნებავთ აქ არ იხილოთ! რა ჯურის მწერლებს არ შეხვდებით აქ! დიდს და პატარას, ვისაც კი ქართული ანბანის წერა შეუძლია, ყველას მწერლობისათვის მიუყვია ხელი და აცხობენ უშველებელ წერილებს. მე თქვენ გეტყვით მასალის ძებნასა და შემუშავებაზე არ იტეხონ თავი!.. დღეს ხომ საგინებელ და სალანძღავ მასალას ს.-დ. წარმოადგენს; აი ეს ვაუბატონებიც ამას მისდგომიან და რასაც კი გაიგონებენ მის შესახებ სოფლის მეპორიკანე დედაკაცებისგან ან რასაც მათი ფანტაზია შექმნის, ყველაფერს ბეჭდავენ გაზეთში; ეს ვაუბატონები დარწმუნებული არიან, რომ პასუხს ვერავინ აბებინებს. თუ მოსთხოვეთ ფაქტების დამტკიცება, მას პასუხი მზათ აქვს: „პარტიამ გამომიწვიოს და დაუმტკიცებო“. იცის, პარტიას მათთვის არც სცალია და ეს მოუხერხებელიცაა მისთვის. მაშასადამე ასეთი წერილებისთვის ისინი პასუხს არ აგებენ, არაფერს არ კარგავენ, სარგებლობა კი ორნაირია, და აი როგორი: ყველას კარგათ მოეხსენება ის, რომ ესფერთა დიდი უმეტესობა თბილთბილ ადგილებზე არიან წამოსკუპებულნი. მათი ყურადღების დამსახურება სხვა რიგ როგორ შეიძლება, თუ არა იმ ს.-დ. ლანძღვა-გინებით და ცილის წამებით, რომლის სახელის გაგონებაც კი მათ ტანში აურჟოლებს. ასეთი წერილის საშუალებით ის ჯერ ერთი იმსახურებს ამ „ბობოლათა“ ყურადღებას და მეორე—ხდება მწერალი. ჩემის აზრით სწორეთ ეს უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი ამოდენა ახალ-ჯურის მწერლებთა გამოფენის და არა სხვა რამ.

ერთი ასეთ ხალხისთვის გულშემატკივარი და თავდადებული მწერალთაგანი გახლავთ ბ. „სოფლის მასწავლებელი—იმერელი“, რომელსაც ვეება წერილი აქვს მოთავსებული „ნიშადურის“ № 41. როდესაც მოსთხოვეს ფაქტების დამტკიცება, მას განუცხადებია: „პარტიამ გამომიწვიოს და მას დაუმტკიცებო“. რას ნიშნავს, ბ. მასწავლებელო მეთოდე, ასეთი პასუხი თუ არა იმას, რომ მე არ შემიძლია ამ ფაქტების დამტკიცება, როგორც ს.-დ. მიერ ჩადენილის და რადგანაც არ მსურს ჩემი ნამდვილი ფიზიონომია დავანახვო ხალხს, ამისთვის ხრიკს ვხმაროობ და ვიწვევ პარტიას სამართალში,—ვიცი რა წინდაწინვე, ის ამაზე არ დამეთანხმებაო? თუ ეს ასე არ არის, ბ. „მასწავლებელო“ მეთოდე, და თქვენის „მეთოდის“ საშუალებით არ გსურთ დაიმსახუროთ „ბობოლათა“ ყურადღება შემდეგისათვის, თუ მართლა ხალხის ინტერესები გალაპარაკებთ ამას და არა კუჭის საკითხი, რატომ არ გსურთ გაყვეთ იმ პირებს და ორგანიზაციებს სამედიატორო სამართალში, ვისაც ბრალსა სდებთ? რატომ არ გსურთ დაამტკიცოთ თქვენი ნათქვამი და მით ხალხს, იმ ხალხს, რომლისთვინაც თქვენ ამდენი გიშრომიათ, (სხვა რომ არა იყოს რა ამ წერილის წერით და ფაქტების შეკრებით) და ბული შეგტკივათ,(?) დაუმტკიცოთ თუ ვისთან ჭირნია მას საქმე? დაანახოთ ნათლათ თუ ვინ ყოფილან ეს ს.-დ. რომ შემდეგში მაინც არ იმოქმედოს ხალხმა მათი გავლენის ქვეშ. თქვენ, როგორც სიმართლის მოყვარული (?), უნდა ცდილობდეთ ნათელ-ჰყოთ ყოველივე თქვენი ნათქვამი. თქვენ კი, თქვენი ქცევით, ძალუნებურათ გვაგონებთ ერთ ანდაზას, სახელდობრ „ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებსო“. გველაპარაკებით ერთს და, როდესაც დამტკიცებაზე მივარდება საქმე, იმერულ ხრიკების საშუალებით უარს ამბობთ... ვათავებ რა ამ წერილს, საყოველთაოთ ვაღიარებ, რომ არც ერთი თქვენ მიერ წამოყენებული ბრალდება სოც.-დემ. მიერ ჩადენილი არ არის. ყველა ეს მხოლოთ ჭორი და საზიზღარი ცილის წამებაა, რასაც თუ ისურვებთ დაბიმტკიცებთ სამედიატორო სამართლის საშუალებით. დაუკვირდით თქვენ თვითონ კარგათ თუ ვისი ჩადენილია თითეული ბრალდება და შემდეგ თქვენ თავს შეეკითხეთ: იყვნენ ისინი სოც.-დემ. და აგებენ მათ ქცევაში პასუხს თუ არა?

მ.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ		7 მ. — კ.
ნახევარ წლით —	—	3 მ. — კ.
სამი თვით —	—	1 მ. 60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით		7 მ. — კ.
ნახევარ წლით —	—	4 მ- — კ.
სამი თვით —	—	2 მ. — კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань“ (Мадат. островъ) Рахиль Каландадзе.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება ვანქის ქუჩაზე № 12, ზემო სართულში

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**